ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

სალომე ზოიძე

სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: აკაკი ზოიძე

განათლების აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

1994 წელს სალამანკას დეკლარაციამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა კონვენციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება. სალამანკის დეკლარაციით სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს.

2004 წელს საქართველოს მთავრობამ ინკლუზიური განათლება პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა. რის შედეგადაც დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრირება ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლის სტრატეგიების ჩამოყალიბებას და კვლევას აჭარის საგანმანათლებლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების და სპეც მასწავლებლის ურთიერთობების, მშობლების ჩართულობის და მათი მოლოდინების განსაზღვრას.

ბავშვთა უფლებების კონცენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. უფრო მეტიც, ყველას შეუძლია ისწავლოს, მიუხედავად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ სხვა მდგომარეობისა.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. სწორედ ამიტომ ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია.

Annotation

The 1994 Salamanca Declaration and the United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities significantly changed attitudes towards education for people with disabilities. The Salamanca Declaration marked the beginning of a process of universal recognition of the inclusive education model.

In 2004, the Georgian government declared inclusive education a priority. As a result, students with disabilities and special educational needs began to be integrated into general education classes.

The aim of this master's thesis is to formulate and research strategies for students with learning disabilities and mental development disorders in Adjara secondary schools to determine the relationship between parents and special education students, parent involvement and their expectations.

According to the Convention on the Rights of the Child, every child has the right to education. Moreover, everyone can learn, regardless of their physical, intellectual, social, emotional or other condition.

Inclusive education recognizes the need for diversity and diversity in the learning process of students. That is why, according to the inclusive education approach, the inclusion of a child with special educational needs in the general education school and its educational process is a top priority.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ინკლუზიური განათლების არსი 6

მოკლე ისტორიული ექსკურსი 6

1.2 ინკლუზიური განათლების სახეები 9

1.3 რა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? 11

1.4 მოსწავლეთა სწავლის სირთულეების იდენტიფიკაცია 15

თავი II. სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები 18

2.1 დისლექსია 18

2.2 ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიულობის სინდრომი 24

2.3 გონებრივი ჩამორჩენილობა 28

2.4 აუტიზმი 33

2.5 დაუნის სინდრომი 39

2.6 ცერებრული დამბლა 45

თავი III. სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები. 58

3.1 ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშემწყობი საშუალებები; 58

3.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; 61

კვლევა აჭარის ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში 67

დასკვნები 70

რეკომენდაციები 72

გამოყენებული ლიტერატურა 74

შესავალი

საქართველოში ინკლუზიური განათლება 2004 წლიდან პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. ნაბიჯ-ნაბიჯ იცვლება არა მარტო მიდგომები, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებაც შზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.

ბავშვთა უფლებების კონცენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. უფრო მეტიც, ყველას შეუძლია ისწავლოს, მიუხედავად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ სხვა მდგომარეობისა.

ინკლუზიური სწავლების დანერგვა უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი და ამ პროცესების წარმატებას განსაზღვრავს, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვება მასში სკოლის ყველა მუშაკი, მშობელი, ბავშვი, სახელმწიფო მოხელე, მთელი საზოგადოება, რამდენად ერთსულოვანი იქნება მათი მისწრაფება იმ წინააღმდეგობის აღმოფხვრისაკენ, რომელთაც აწყდება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი და ღია მონაწილეობის საკითხი.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ყველა იზიარებს იმ ხედვას, რომ ნებისმიერი მოზარდი უნდა სწავლობდეს და ერთობოდეს ერთად. მათ სჯერათ, რომ განათლება უნდა იყოს არადისკრიმინაციული, მგრძნობიარე კულტურული განსხვავებულობისადმი, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ბავშვისა და მათი ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებას. ის მოუწოდებს მასწავლებლებსა და სკოლების ადმინისტრაციას, მშობლებსა და საზოგადოებას, დაეხმარონ ბავშვებს მიიღონ განათლება სასკოლო ოთახებსა და მის გარეთ.

დღეს, საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. 2006 წლიდან ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სავალდებულოდ განიხილება. (ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვლევის ანგარიში 2013).

სამაგისტრო თემა **მიზნად** ისახავს განსაზღვროს სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები და შეისწავლოს აჭარის ზოგასადანმანათლებლო დაწესებულებებში რამდენად პოზიტიურად, ადეკვატურად და მიმღებლობით მიმდინარეობს ინკლუზიური განათლების განხორციელება.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: რესპოდენტებად შერჩეული იქნა საჯარო სკოლის სპეც მასწავლებლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და მათი მშობლები.

კვლევის მეთოდები: საუბარი, თხრობა, ტესტირება, ანკეტირება, ინტერიუ და დაკვირვება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ აღმზრდელ-პედაგოგებს, მშობლებსა და მეურვეებს.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, ცხრა პარაგრაფისაგან, დასკვნების, რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I. ინკლუზიური განათლების არსი
მოკლე ისტორიული ექსკურსი

ინკლუზია - ეს ცნება იტორიულად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების უფლებების დაცვის კონტექსტში. დღეისთვის, უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და იმ მიდგომებსა და საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ასახავს, რომელიც ჰუმანისტურ ფასეულობებს ეფუძნება, ისეთი როგორიცაა მიმღებლობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა. ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მიისწრაფვის შეიქმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის.

ტერმინი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა მოძრაობის, სმენის, მხედველობის, სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების შეზღუდვის მქონე ბავშვები. თუმცა, „ინკლუზიური“ ასევე გულისხმობს სკოლებში ყველა იმ ბავშვის ჩართვას, რომელებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო გარიყული აღმოჩნდენენ სასწავლო დაწესებულებებიდან: ქუჩის ბავშვები ან შიდსით დაავადებული ბავშვები. განათლების დარგის ყველა მუშაკს, განსაკუთრებით კი ჩვენ, მასწავლებლებს, გვეკისრება პასუხისმგებლობა ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რათა რათა ყველა ბავშვი იქნას უზრუნველყოფილი განათლების მიღების თანაბარი უფლებით.

ბავშვთა უფლებების კონცენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. უფრო მეტიც, ყველას შეუძლია ისწავლოს, მიუხედავად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური თუ სხვა მდგომარეობისა.

ინკლუზიური განათლების პროცესი ეყრდნობა რამდენიმე ფუნდამეტურ ღირებულებას:

განსხვავებულობა არის ნორმა - ეს არის რწმენა, რომ განსხვავებულობა მოსწავლეთა შორის არის ბუნებრივი მოვლენა. არ არსებობს ბავშვი ორი იდენტური სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, განწყობითა თუ აკადემიური მოსწრებით. მოზარდის ინდივიდუალური შემეცნება მისი განსხვავებულობის აღიარებით იწყება. განსხვავებულობის პატივისცემა და სასწავლო პროცესის დიფერენციულობა ინკლუზიური განათლების მთავარი პრინციპია.

ჯანსაღი საზოგადოების შენების ხელშეწყობა - ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებულ სასწავლო პროცესს გულისხმობს და ხელს უწყობს ხშირ შემთხვევაში იმას, რომ მინიმალური იყოს მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების რისკი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა, ინდივიდუალური გრაფიკი, დამხმარე სპეციალისტები, ადაპტირებული ფიზიკური გარემო თუ სხვა დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები ზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს, უქმნის მას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განათლების მიღების შესაძლებლობას.

დინამიზმი, ინოვაცია, და ცვლილებების განხორციელება - ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია. დინამიზმი ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგან, რომლებიც სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნას განაპირობებს.

ინკლუზიური სწავლების დანერგვა უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი და ამ პროცესების წარმატებას განსაზღვრავს, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვება მასში სკოლის ყველა მუშაკი, მშობელი, ბავშვი, სახელმწიფო მოხელე, მთელი საზოგადოება, რამდენად ერთსულოვანი იქნება მათი მისწრაფება იმ წინააღმდეგობის აღმოფხვრისაკენ, რომელთაც აწყდება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი და ღია მონაწილეობის საკითხი. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. სკოლაში ი/გ-ის წარმატებით განხორციელებისთვის კი მნიშნელოვანია, ყველა მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს მის საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული განმავითარებელი აქტივობა, რომელიც ერთის მხრივ მის განათლებას შეუწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ, გაუღვივებს სწავლის მოტივაციას.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ყველა იზიარებს იმ ხედვას, რომ ნებისმიერი მოზარდი უნდა სწავლობდეს და ერთობოდეს ერთად. მათ სჯერათ, რომ განათლება უნდა იყოს არადისკრიმინაციული, მგრძნობიარე კულტურული განსხვავებულობისადმი, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ბავშვისა და მათი ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებას. ის მოუწოდებს მასწავლებლებსა და სკოლების ადმინისტრაციას, მშობლებსა და საზოგადოებას, დაეხმარონ ბავშვებს მიიღონ განათლება სასკოლო ოთახებსა და მის გარეთ.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალურობას.

მოსწავლეების სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში განაწილება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდირებულია მხოლოდ, მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს, ან ეს როცა აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვის კეთილდღეობისთვის.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას გულისხმობს:

- ✓ სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლის ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში.
- ✓ ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები. სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა.
- ✓ სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შესაბამისი მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისთვის სპეციალისტების დახმარება.

- ✓ სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარადჭერრის უზრუნველსაყოფად.
- ✓ სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან და უზრუნველყოფენ მათ აქტიურ ჩართულობას და თანამონაწიელეობას მათი შვილების სწავლის პროცესში.
- ✓ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

დღესდღეობით საქართველოში 15 სპეციალური პროფილის მქონე სკოლაა. ეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ითვლებოდა სპეციალურ სკოლებად და განათლების მიღება ხდებოდა სპეციალური, განსხვავებული გეგმის მიხედვით, გამოიყენებოდა განხვავებულო (გამარტივებული და ადაპტირებული) სახელმძღვანელოები სსსმ მოსწავლეებისთვის. ასევე განსხვავდებოდა იმ საგნების ჩამონათვალი, რომელსაც სპეციალურ სკოლაში ასწავლიდნენ. 2006 წელს განათლების მინისტრის 448 ბრძანების საფუძველზე ყველა სპეციალური სკოლა დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და გადაკეთდა საჯარო სკოლად. თუმცა ყველა მათგანი ინარჩუნებს სპეციალურ პროფილს და თითოეული მათგანი ემსახურება სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე მოსწავლეებს. კერძოდ, 2 სკოლა არის ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის; 1-უსინათლო მოსწავლეებისთვის, 1 მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, 1 - ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის, 2 ქცევის და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, ამათგან ერთი კოლონიის ტიპის დაწესებულებაა და მასში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა კრიმინალური ქმედებების საფუძველზე.

დღეს, საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. 2006 წლიდან ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სავალდებულოდ განიხილება. (ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვლევის ანგარიში 2013).

1.2 ინკლუზიური განათლების სახეები

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მქონე ბავშვების ყოველდღიური სწავლება და განვითარება თანატოლებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების მიღების სხვადასხვა ფორმას აერთიანებს. არსებობს სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

სრული ინკლუზია იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი სრულად არის ჩართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, უკლებლივ ესწრება ყველა აქტივობას და თავისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, შედგენილი აქვს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამა.

ნაწილობრივი ინკლუზია გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის არჩევით აქტივობებში ჩართვას. ბავშვის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის იქმნება ინდივიდუალური განრიგი და ესწრება მხოლოდ იმ აქტივობებს, რომელთაც ეს განრიგი ითვალისწინებს. ნაწილობრივი ინკლუზია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ძალიან მოქნილი ფორმაა. იგი ემსახურება:

- ბავშვის ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო-განმავითარებელ პროცესში;
- განმავითარებელ გარემოსთან ბავშვის შეგუებასა და თანდათანობით ადაპტირებას;
- თანატოლების გასაცნობად და არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისათვის ბავშვის საკმარისი დროისა და სივრცით უზრუნველყოფას;

ნაწილობრივი ინკლუზიის შემთხვევაში უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამა (იგპ), რომელიც დეტალურად აღწერს ბავშვის საგანმანათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს - როგორც აქტივობებზე დასწრების, ისე დაუსწრებლობის შემთხვევაში.

ინტეგრირებული სწავლებისას განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებული და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით. ინტეგრირებული ჯგუფის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებისა და სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ამ ჯგუფის ბავშვები ჩართული არიან ყველა სხვა აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენა და 25 სხვა).

ინტეგრირებული სწავლების უარყოფითი მხრეები:

- მოსწავლეები ირიცხებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მაგრამ არ არიან სასწავლო პროცესის თანამონაწილენი. ისინი სკოლაში არიან, მაგრამ არ წარმოადგენენ სკოლის ნაწილს.

- აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასის გარემოსთან ადაპტაციაზე და არა პირიქით, კლასის რეორგანიზაციაზე.

ინკლუზიური განათლების აღნიშნული სამივე ფორმა მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, იგი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. აღმზრდელ-პედაგოგს შეუძლია, ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით გამოიყენოს შესაბამისი ფორმა და მას იმ სასწავლო უნარ-ჩვევების უკეთესად ათვისებაში დაეხმაროს, რომლებიც სკოლაში შესასვლელად არის აუცილებელი.

1.3 რა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?

ტერმინი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. მოსწავლეს, რომელსაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში;
- ინფორმაციის შეგროვება;
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება;
- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება;
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგიგებთან;
- მოწესრიგებულობა;

ტერმინის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტემბა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. ბევრი მოსწავლე წარუმატებელია სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა არ გააჩნია.

შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, ესაჭიროება თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო მიდგომა, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე, ან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში. სწორედ ამიტომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული, ერთის მხვრის მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო მეორეს მხვრივ სტატუსის არამართებული მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს (5, 34).

სპეციალური განათლების მოდელის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ სწავლების რამდენიმე ალტერნატივა:

ა) სპეციალური სკოლა: სპეციალურად ორგანიზებული, იზოლირებული სასწავლო გარემო გასაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო გეგმა, პროგრამა და სწავლების მეთოდები სპეციალურად არის მორგებული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე.

სპეციალური სკოლის დადებითი მხარეები:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობს თავს.

- მასწავლებელს აქვთ ასეთი ბავშვების სწავლების გამოცდილება და მათდამი ადეკვატური მიდგომა.
- სასწავლო გეგმა ბავშვის შესაძლებლობებსაა მორგებული.

სპეციალური სკოლის უარყოფითი მხარეები:

- ბავშვებს არა აქვთ სოციალური გამოცდილების მიღების შესაძლბლობა;
- ბავშვები სათბურის პირობებში იმყოფებიან და მოწყვეტილნი არიან რეალურ ცხოვრებას;
- ბავშვებს არა აქვთ მათი თანატოლების ქცევის, მოქმედებისა და კომუნიკაციის მიბაძვის საშუალება.

ბ) სპეციალური კლასი: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი მცირერიცხოვანი კლასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ბავშვებს ასწავლის სპეც მასწავლებელი, მისაღწევი მიზნებიდან გამომდინარე მათზე მორგებული სასწავლო გეგმითა და სპეციალური პროგრამით ბავშვები ნაკლებად ურთიერთობენ სხვა კლასების თანატოლებთან.

სპეციალური კლასის უარყოფითი მხარეები:

- მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვების ერთ სივრცეში მოთავსება და მათი იზოლირებული სწავლება არ ამცირებს მათ პრობლემებს და უნარების დეფიციტს.
- კიდევ უფრო აღრმავებს განსხვავებულობის განცდას, იწვევს სტიგმატიზაციას'
- აქვეითებს ბავშვის მოტივაციას.
- ბავშვი იზოლირებულია თანატოლების გარემოში. მას უჭირს მიღებული ცოდნისა და ჩვევების გადატანა ხელოვნური გარემოდან რეალურ სიტუაციაში.

1960 წელს რეინოლდსი იყო პირველი, ვინც განსაკუთრებული საჭირიებების მქონე ბავშვებისთვის წარმოადგინა სპეციალური განათლების მოდელი, რომელიც გულისხმობდა თანმიმდევრული ნაბიჯების ერთობლიობას სპეციალური დაწესებულებიდან ზოგადსაგანმანათლებლო კლსამდე. ეს მიდგომა განავრცო დენომ და კასკადური მოდელი უწოდა. აღნიშნულ მოდელში საგანმანათლებლო მომსახურება და ბავშვების განთავსება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით გარკვეული დიაპაზონის სახეს იღებს. კერძოდ, მომსახურების დიაპაზონის საზღვრები ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებიდან სეგრეგაციამდე. აღნიშნული მოდელის მთავარი პრინციპია, ის რომ ბავშვი, მისი საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა განთავსდეს ნაკლებად შეზღუდულ და მეტად მასტიმულირებულ გარემოში. შესაბამისად, მისი განთავსება დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე და არ ატარებს პერმანენტულ ხასიათს. ის შეიძლება შეიცვალოს ბავშვის მდგომარეობისა და შესაძლებლობების მიხედვით.

პირველი არჩევანი ყოველთვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასია, შემდეგი - ინტეგრირებული კლასი ან რესურს ოთახი სკოლაში, შემდეგია სპეციალური კლასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ხოლო შემდეგ -სპეციალური სკოლა და დაწესებულება.

კასკადური მოდელის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლისას დახმარების ხარისხი დამოკიდებულია ბავშვის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ბავშვი შეიძლება სწავლობდეს:

- ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, მთელ დროს ატარებდეს კლასთან და მას ასწავლიდეს საშუალო სკოლის მასწავლებელი.
- ზოგასაგანმანათლებლო კლასში სპეციალისტის, სპეციალური განათლების მასწავლებლის დახმარებით და მთელ დროს კლასში ატარებდეს.
- ნაწილობრივ -ზოგადსაგანმანათლებლო კლასში და ნაწილობრივ -სპეციალურ კლასში.

რესურს ოთახი: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სპეციალურად გამოყოფილი სივრცეა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს სასწავლო კვირის განმავლობაში პერიოდულად ეხმარებიან სპეციალისტები. ბავშვი სწავლობს ჩვეულებრივ კლასში და აქ დროის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ატარებს. ეს დრო იცვლება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. სარესურსო ოთახში ბავშვებს სპეციალისტი ეხმარება სასწავლო პროგრამის დაძლევაში. აქ ხდება არა მხოლოდ აკადემიური ჩვევების ათვისება, არამედ სოციალური კომუნიკაციის გაუმჯობესება და უნარების განვითარება.

რესურს ოთახის აღჭურვილობა უნდა მოიცავდეს ინვენტარს , ტექნიკას, ადაპტირებული ავეჯს, აუდიო და ვიდეო აპარატურას და მრავალფეროვან თვალსაჩინო მასალებს. ასევე, ავეჯს (მაგიდები, სკამები, პუფები, ხალიჩა, სავარძელი).

მრავალფეროვან თვალსაჩინო მასალებიდან რეკომენდებულია შემდეგი რესურსები:

- თვალსაჩინო მასალები - სხვადასხვა სულიერი და უსულო საგნების (ცხოველები, მცენარეები, ჭურჭელი და ა.შ)ამსახველი პოსტერები, პლაკატები, სურათები, ფოტოები;
- ანბანისა და ციფრების ამსახველი პოსტერები და ანბანისა და ციფრები ხის ან სხვა მასალის კუბები;
- ასაწყობი და განმავითარებელი სათამაშოები - ფაზლები, კუბები, ლეგო და სხვა კონსტრუქციული სათამაშოების ნაკრებები;
- ხმოვანი და სენსორული სათამაშოები და წიგნები;
- სამაგიდო თამაშები (ლოტო, ფაზლი, დომინო და სხვა);
- პლასტელინები, თიხა, კინეტიკური ქვიშა;
- ფანქრები, ფლომასტერები, პასტელები, აკვარელი, ცარცი, გუაში და სხვა სახატავი რესურსები;
- სხვადასხვა ბადიანი და სახატავი რვეულები;
- გასაფერადებლები და ფერადი ფურცლები;
- ლექსების, მოთხრობებისა და ზღაპრების ფერადი დასურათებული წიგნები;
- მაგნიტური დაფა;
- მაგნიტური, ხის ან/და პლასტმასის ციფრების და ასოების ნაკრები;
- ხის განმავითარებელი სათამაშოები;
- საათი, კალენდარი;
- ფუნქციური უნარების განმავითარებელი სათამაშოები (მაგ. ზონარის, ღილის, ელვის შეკვრის შესწავლისთვის);
- პირადი დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოსაყენებელი ინვენტარი, მაგ. ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა;

აღნიშნული რესურსების გამოყენება უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებული მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში. რესურსების მრავალფეროვნება სწავლების პროცესში ხელს უწყობს:

- მოტორული (ნატიფი და მსხვილი) უნარების განვითარებას;
- წინააკადემიური უნარების განვითარებას;
- აკადემიური (წერა, კითხვა ანგარიში, თხრობა) უნარების გაუმჯობესებას;
- კოგნიტური უნარების (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) განვითარებას;
- მეტყველების (იმპრესიული და ექსპრესიული) განვითარებას;
- სოციალიზაციას და კომუნიკაციას;
- ქცევის პოზიტიურ მენეჯმენტს;
- წინაპროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;
- ზოგადად, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და ადაპტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების წარმართვას.

რესურს ოთახი წარმოადგენს სსსმ მოსწავლის სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთ საშუალებას და მისი მიზნობრივი გამოყენება ეხმარება მოსწავლეს სხვადასხვა უნარების განვითარებასა და დამატებით მეცადინეობაში. სსსმ მოსწავლისთვის ეს ოთახი საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ისევე როგორც საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი და ა.შ. აქ სსსმ მოსწავლეებს საჭიროების შესაბამისად შესაძლებლობა ეძლევათ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. რესურს ოთახის გამოყენება ბავშვის საგანმანათლებლო პროცესიდან იზოლირებისთვის დაუშვებელია.
სკოლის სივრცეში რეკომენდებულია შეირჩეს ისეთი ოთახი, რომელიც არის ნათელი, აქვს ფანჯარა, ნიავდება და ადვილად ხელმისაწვდომია ეტლით მოსარგებლე, თუ სხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ოთახის მოწყობის დროს მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს განათება, ფერები, აკუსტიკა. ოთახში დაცული უნდა იყოს ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაბამისი თანაფარდობა. კედლები უმჯობესია იყოს ნათელი, თბილი ფერებით შეღებილი. კედლებზე რეკომენდებულია განთავსდეს სხვადასხვა თვალსაჩინო მასალები, პლაკატები და სურათები. იატაკი უმჯობესია იყოს ხის ან რბილი. საგები მოსწავლეების რელაქსაციისთვის შესაბამისი ნორმატივების გათვალისწინებით (საგები ადვილად უნდა ირეცხებოდეს და ნაკლებად იგროვებდეს მტვერს).
საუკეთესო შემთხვევაში, რეკომენდებულია რესურს ოთახის სივრცე დაყოფილი იყოს რამდენიმე ზონად და შეძლებისდაგვარად გამოყოფილი იყოს სამეცადინო, მოსასვენებელი ზონა, ასევე ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობის, წიგნების და განმავითარებელი რესურსების კუთხე.

1.4 მოსწავლეთა სწავლის სირთულეების იდენტიფიკაცია

მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის უნარით, ახალი მასალის ათვისების ტემპით და მიდრეკილებებით სხვადასხვა საგნის მიმართ. მასწავლებელი აცნობიერებს განსხვავებებს და ცდილობს ყველა მოსწავლის ინტერესი სასწავლო პროცეში ერთნაირად იყოს გათვალისწინებული. ამის მისაღწევად პედაგოგები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ, მაგალითად დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, ინდივიდუალური სწავლება და ა.შ, თუმცა არსებობენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული რთული პრობლემები აქვთ და მიუხედავად მასწავლებლის ძალისხმევისა უჭირთ აითვისონ ახალი მასალა, უჭირთ კითხვა, ვერ ისვენებენ გაკვეთილზე, გაუთავავებლ მოძრაობაში არიან და მუდამ ზარმაცობენ. სამწუხაროდ, ასეთი მოსწავლეები პედაგოგების მხრიდან ხშირად ხდებიან დაღდასმულები, რომ მათგან დიდი შედეგი არ მიიღწევა. ეს ვერდიქტი მოსწავლეს ხშირ შემთხვევაში ბოლომდე მიყვება და მისი მრავალი ემოციური, თუ ქცევითი პრობლემების საფუძველი ხდება.

სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია საკლასო ოთახში იწყება, როცა მასწავლებელი ათვისების და ქცევის სირთულეებს აფიქსირებს. ამის შემდგომ მასწავლებელი იწყებს სიღრმისეულ დაკვირვებას მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი მართავს კონსულტაციას მოსწავლის მშობელთან/მზრუნველთან და თუ შესაძლებელია თავად მოსწავლესთანაც არსებული სირთულეებისა და მიდრეკილებების შესახებ.

მასწავლებელი მშობელთან ერთად განიხილავს ბავშვის ფსიქოლოგთან, თერაპევტთან და ნევროლოგთან კონსულტირების შესაძლებლობებს, რათა სპეციალისტთა დასკვნის საფუძველზე გახდეს ცნობილი თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს მოსწავლეს და შესაბამისად დაიგეგმოს მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თუ ცვლილებები სასწავლო პროცესში. ბევრი მოსწავლისთვის ამგვარი მიდგომა საკმარისია, იმისთვის რომ წარმატებებს მიაღწიოს სწავლის პროცესში და ბევრი სირთულე აიცილონ თავიდან.

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს და ამით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც სახვა საქართველოს მოქალაქეებს. ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაუწიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე გააკეთოს აქცენტი.

ამ პრინციპზე დაყრდნობით, მასწავლებელს ეძლევა უფლება, ეროვნული გეგმის ფარგლებში მისწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვროს:

- სასწავლო შედეგი და ინდიკატორი;
- სასწავლო მასალა;
- სწავლისთვის განკუთვნილი დრო;
- სწავლის სტრატეგია;
- შეფასების სტრატეგია;
- სასწავლო გარემო;(სწავლება მცირე ჯგუფში, ინდივიდუალურად)
- პროფესიონალთა ჯგუფი;(პედაგოგი, სპეც მასწავლებელი, ფსიქოლოგი)

მასწავლებელი არ უნდა შეუშინდეს განსხვავებულობას მოსწავლეთა სწავლის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის ყოველი გადაწყვეტილება იყოს არგუმენტირებული, ადეკვატურად დასაბუთებული და ამავდროულად, ემსახურებოდეს არა სუბიექტურ მსჯელობას, არამედ პროფესიონალთა შეთანხმებულ ხედვას.

მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით დასაშვებია:

სასწავლო პროგრამის გამარტივება: ამ შემთხვევაში მასწავლებელი ან სპეციალური განათლების პედაგოგი ამარტივებს სასწავლო გეგმას და შესაბამის დავალებებს მოსწავლისთვის. მაგ. თუ მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტის კითხვა, მასწავლებელი ამარტივებს რთულ თანწყობილ წინადადებებს, უცხო და რთულ სიტყვებს ცვლის მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებით. თუ კი მოსწავლისთვის ეს სტრატეგია ადეკვატურია, ამის მსგავსად შეიძლება გამარტივდეს სხვადასხვა საგნებიც.

სასწავლო პროგრამის ფორმის ცვლილება: ამ შემთხვევაში მასწავლებელი და/ან სპეც. პედაგოგი მიმართავს დამატებით სასწავლო მეთოდიკებს და თვალსაჩინოებებს, რათა უფრო გასაგები გახადოს მოსწავლითვის სასწავლო პროგრამა. მაგ. შესაძლებელია, მოსწავლეს ახალი საგაკვეთილო თემა მივაწოდით არა ნაწერის სახით, არამედ სიუჟეტური სურათის სახით, რომელიც მან უნდა დაათვალიეროს და აღწეროს. მნისვნელოვანია მშობლის ჩართულობაც, შესაბამისი სიუჟეტური სურათის მოძიება და მოსწავლის რვეულში ჩამაგრება.

სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება: ამ შემთხვევაში შესაძლებელია, მოსწავლეს სასწავლო პროგრამის დასაძლევად ან საგაკვეთილო დავალების შესასრულებლად განსხვავებული დრო განვუსაზღვროთ. მაგ. მივცეთ მეტი დრო ტესტირების პროცესში, ლექსი ზეპირად მოვთხოვოთ არა მეორე საგაკვეთილო დღეს, არამედ კვირის ბოლოს.

კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში მასწავლებლის უმთავრესი ამოცანა საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართვაა. პედაგოგმა ეს უნდა შეძლოს მიუხედავად, იმისა რომ ის განსხვავებულ მოსწავლეებთან განხვავებული სტრატეგიებით და გეგმით მუშაობს. მაგ. დასაშვებია, რომ პირველკლასელებთან მასწავლებლის მიზანი დაფიდან მარტივი წინადადებების გადაწერის უნარის განვითარება

იყოს, სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე მოსწავლისთვის კი ასოების წერის წინმსწრები ფიგურების ხატვის უნარის განვითარება წარმოადგენდეს. უქმად არ უნდა იჯდეს მოსწავლე, კარგი იქნება თუ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს გეომეტრიული ფიგურების გაფერადებას ან გადახატვას დაავალებს.

ამავდროულად მასწავლებელმა უნდა ეცადოს დავალება არ იყოს საგაკვეთილო კონტქსტიდან, თემიდან ამოვარდნილი .

ამ მიდგომის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყოველი აქტივობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და მის მიმართ დასახული მიზნების გათვალისწინებით განსაზღვროს და არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი -მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, თანაბრად ჩართოს ყველა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესსა და აქტივობებში. იდეალური იქნება, თუკი მასწავლებელი მოახრეხებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვას, იმგვარად რომ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე ზუსტად იგივე აქტივობაში იყოს ჩართული და იმ ხანგრძლივობით, როგორც სხვა თანაკლასელები. მაგალითად, თუკი მასწავლებლის კონკრეტული დღის საგაკვეთილო განრიგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ზეპირ გამოკითხვას, მასწავლებელმა ზეპირი გამოკითხვის პროცესში სპეციალური საგანმანათ. საჭიროების მქონე მოსწავლეც უნდა ჩართოს ოღონდ შესაბამისად შერჩეული მეთოდით.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის ამგვარად დაგეგმვა ყოველთვის არ ხერხდება და ხშირად გამართლებულია სპეციალ. საჭიროების მქონე მოსწავლე ზეპირად სწორედ მაშინ გამოიკითხოს, როდესაც მისი თანაკლასელები წერენ. ასე მასწავლებელი უფრო კონცენტრირდება მოსწავლეზე. ამ შემთხვევაში მთავარია, მასწავლებლის მიერ შერჩეული სტრატეგია წინასწარ იყოს განსაზღვრული და ითვალისწინებდეს მოსწავლის შესაძლებლობებს. მთავარია, რომ მასწავლებელმა არ დაუშვას არცერთი მოსწავლის უქმად ჯდომა საგაკვეთილო პროცესის დროს.

მოსწავლისთვის ოპტიმალური სასწავლო გეგმის შესაქმნელად, ეროვნული გეგმიდან შესაბამისი სასწავლო შედეგების შერჩევის პარალელურად, ხშირად აუცილებელია მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო შედეგის განსაზღვრა, რომელიც სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნები, რომლებიც ცხოვრებისეული უნარების შეძენას და გაძლიერებას გულისხმობს. ასეთი უნარებია:

- ✓ ფულის მენეჯმენტი;
- ✓ უსაფრთხო ცხოვრების წესი;
- ✓ შესაბამისი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბება;

- ✓ დროში, ადგილსა და სივრცეში ორიენტაცია;
- ✓ პირადი ჰიგიენის დაცვა;
- ✓ ყოველდღიური ცხოვრების აქტივობები;

აღნიშნული და სხვა ცხოვრებისეული უნარების დაუფლება დაეხმარება სსსმ მოსწავლეს აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, ასევე ყველა სასკოლო აქტივობაში.

თავი II. სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები

2.1 დისლექსია

დისლექსია ვისწრო მნიშვნელობით - კითხვის უნარის დაქვეითებას, ხოლო ფართო მნიშვნელობით - მეტყველებით გაშუალებული დასწავლის უნარის დაქვეითებას ნიშნავს, რომელიც ხასიათდება კითხვის, წერის და ზეპირი მეტყველების პრობლემებით.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 17 პროცენტი დისლექსიით არის დაავადებული. დაწყებით კლასებში ეს სირთულე ვიზუალური სიმბოლოების ვერბელურ ბგერებთან დაკავშირების დაქვეითებული უნარის გამო იქმნება. ითვლება, რომ დისლექსია ბავშვის განვითარების დროს ყალიბდება. კვლევების უმეტესობა გამორიცხავს შემთხვევებს, რომელიც შესაძლოა გარე ფაქტორების - ვთქვათ, განათლების ნაკლებობა ან სენსორული დეფიციტის ზემოქმედებით აიხსნას ეს სინდრომი. მისი ხარისხი შესაბამისი მკურნალობით, მომზადებით და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებით მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა, როგორებიცაა: ფუნქციონალური მანგიტურ-რეზონანსული კვლევა ე.წ კომპიუტერული გამოკვლევა და პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფია, ნათლად აჩვენა სტრუქტურული ცვლილებების არსებობა კითხვის სირთულეების მქონე ბავშვების თავის ტვინში. აღმოჩნდა, რომ დისლექსიის მქონე ადამიანებს აქვთ გამოხატული დეფიციტი მარცხენა ჰემისფეროს არეებში, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კითხვაში.

დისლექსიის დიაგნოზი კვალიფიცირებული პროფესიონალის, მაგალითად ნევროლოგის და განათლების სფეროში სპეციალიზირებული ფსიქოლოგის მიერ ისმება. შეფასება ძირითადად მოიცავს კითხვის უნარის დონის განსაზღვრავს, საგნების სწრაფი დასახელების ტესტს, მოკლევადიანი მეხსიერების და თანმიმდევრულობის უნარის შეფასებას. ასევე, არარსებული სიტყვების კითხვას, რათა შეფასდეს ფონოლოგიური

კოდირების უნარი. როგორც წესი, შეფასება ასევე მოიცავს IQ ტესტს, რათა დადგინდეს სწავლების პროფილის ძლიერი და სუსტი მხარეები.

დისლექსიის მქონე ბავშვების ჯგუფი მრავალფეროვანია. გამოყოფენ დისლექსიის შემდეგ სახეებს:

1) გენეტიკური, ანუ მემკვიდრეობითი დისლექსია: ხასიათდება ოჯახური შემთხვევებით, მსგავსი პრობლემენი აქვთ ოჯახის სხვა წევრებს, ახლო ნათესავებს და ეს პრობლემები თაობებს გადაეცემა.
2) განვითარების დისლექსია - კონგენიტალური, დაბადებიდან არსებული და განვითარების პროცესში გამომჟღავნებული, მაგრამ არა მემკვიდრეობითი.
3) შეძენილი დისლექსია -მოგვიანებით აღმოცენდა, რაიმე ფიზიკური მდგომარეობის ან დაზიანების გამო.

დისლექსიის ყველაზე გავრცელებული მახასიათებლებია:

- კითხვის ათვისების პრობლემა.
- წერის ათვისების პრობლემა.
- წაკითხულის გაგების სირთულე.
- ბავშვს უჭირს სიტყვების ფონოლოგიური ანალიზი, დამარცვლა,ცალკეული ბგერების ერთ სიტყვებად გამთლიანება.
- უჭირს, სიტყვის ფონეტიკური ანალიზი (მაგ. არის თუ არა ასო „კ“ სიტყვაში სოკო)
- კითხვის დროს დარღვეულია სუნთქვა და რიტმი
- არითმეტიკული ოპერაციების წარმოების სირთულე, რაც დაკავშირებულია მოქმედების თანმიმდევრულობის და სივრცითი მიმართებების ანალიზის პრობლემებთან.
- სივრცითი და დროის მიმართებების აღრევა.

დისლექსიის მქონე ადამიანი:

- შეიძლება იყოს გონებამახვილი, საზრიანი და კარგი მეტყველების მქონე, თუმცა მათი კითხვის, წერისა და მართლწერის დონე არ შეესებამება ასკობრივ ნორმას;
- შესაძლოა ჰქონდეთ დაბალი აკადემიური მოსწრება კითხვასა და წერასთან დაკავშირებული პრობლემების გამო;
- შეიძლება ჰქონდეთ კარგი მეტყველების უნარი, მაგრამ გამოავლინონ სისუსტე წერაში;
- დისლექსია ძირითადად გავლენას ახდენს კითხვის უნარზე და არა მოსწავლის ინქეტელექტზე;
- შეიძლება უკეთ სწავლობდნენ ხელის შეხებით, დემონსტრირებით, ექსპერიმენტით, დაკვირვებით და მხედველობის დახმარებით;
- შესაძლოა გამოავლინონ ტალანტი სხვა სფეროში, როგორიც არის ხელოვნება, დრამა, დიზაინი, მუსიკა, სპორტი...
- სკოლაში ჰქონდეთ ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად: ხშირად „დაფრინავენ“ ოცნებებში, არ აქვთ დროის შეგრძნება;
- ციფრებს შეიძლება კითხუბდნენ უკაღმა და გადახტომით;
- უცხო ენის სწავლა შესაძლოა დიდ სირთულესთან იყოს დაკავშირებული;

დისლექსიის ხარისხი ყველა შემთხვევაში სხვადასხვაა. პროგნოზი დამოკიდებულია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების სპეციფიკაზე და ინტერვენციის პროგრამის შესაბამისობაზე.

კითხვის დარღვევების მიხედვით გამოყოფენ:

L (ლინგვისტური) - დისლექსიის მქონე ბავშვები სწრაფად კითხულობენ, მაგრამ ბევრი უზუსტობები აქვთ, ტოვებენ ასოებს, ამოკლებენ, ტოვებენ ან ამახინჯებენ სიტყვებს.

P (პერცეპტული) - დისლექსიის მქონე ბავშვები უფრო ნელა, თუმცა უფრო ზუსტად კითხულობენ. სიტყვებს იმეორებენ, კითხულობენ ფრაგმენტულად, მარცვალ-მარცვალ, თუმცა სწორად.

- პრობლემები კითხვაში, წერასა და სასკოლო მიღწევებში ბავშვის განვითარებისთვის სხვა, მეორად არასასურველ პრობლემებს იწვევს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დისლექსიის შეფასებისას.
- დისლექსიის მქონე ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან შენიშვნისა და კრიტიკის მიმართ,ბავშვი ხშირად იწყებს ტირილს, როდესაც რაიმეს ვერ კითხულობს, ან წერის დროს რაიმე შეცდომას უშვებს. მათ უარყოფითი გამოცდილება აქვთ აკადემიური ჩვევების ათვისებასთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს ემოციური სფეროს განვითარებაზე და პიროვნების ფორმირებაზე.
- იმის გამო, რომ მასწავლებლები და მშობლები ნაკლებად გათვიცნობიერებულნი არიან დისლექსიის მახასიათებლებსა თუ დახმარების სტრატეგიებში, ბავშვები მათი მხრიდან ხშირად განიცდიან დამცირებას, დაცინვას, იგნორირებას, შენიშვნებს და უხეშ მოპყრობას. ყოველივე ეს დამთრგუნველად და შეურცხმყოფელად მოქმედებს ბავშვზე და იწვევს: გულჩათხრობილობას, დაბალ თვითშეფასებას, დაურწმუნებლობას, ქცევის პრობლემებს. რაც შეიძლება გამოიხატოს სკოლის პერსონალის მიმართ აგრესიულ რეაქციაში, დაუმორჩილებლობაში, ასოციალურ ქცევაში, ჰიპერაქტივობაში.
- არასწორი მკურნალობა და შეუფერებელი სასწავლო პროგრამის შედეგად ბავშვებს უჩნდებათ სასწავლო სიტუაციისა და სკოლის პერსონალის მიმართ ზიზღი, ხშირად უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე, ირჩევენ იზოლაციას, აღენიშნებათ ემოციური გაუწონასწორებლობა, ფსიქოსომატური ტკივილები.

დისლექსიის მქონე ბავშვებთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის სწორად შეფასება და დიაგნოსტირება. აუცილებელია გამოკვლეული იქნას ის მიზეზები, რის გამო ჩამორჩება ბავშვი თანატოლებს, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ოჯახის იტორია;
- ზოგადი ინტელექტის დონე;
- ემოციური სფერო;
- განსაკუთრებით უნდა შეფასდეს კითხვა, წერა, მეტყველაბა.

ბავშვი უნდა შეაფასოს ბავშვთა ნევროლოგმა, ნეიროფსიქოლოგმა, მეტყველების თერაპევტმა და პედაგოგმა.

შემდეგი ნაბიჯია: ბავშვის ძიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით მისი კითხვის ან წერის პრომლემების დაძლევის მიზნით ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შექმნა;

- თუ დიაგნოსტიკა დროულია (პირველივე კლასში), მაშინ ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია სენსორული ინტეგრაციის თერაპია, რაც ხელს უწყობს ბავშვის სენსომოტორული ინტეგრაციის დეფიციტის დაძლევას.
- აუცილებელია, ოჯახის და სკოლის თანამშრომლობა და მათი ერთიანი სტრატეგია. ასეთ ბავშვებს ძლიერი მხარდაჭერა ესაჭიროებათ მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან. კეთილგანყობის და მხარდაჭერის პირობებში დისლექსიის მქონე ბავშვები თავს დაცულად გრძნობენ, არ სძულთ სასწავლო პროცესი და ხალისით ასრულებენ დავალებებს.

კითხვის სპეციფიკური დარღვევის - დისლექსიის ეტიოლოგია, ტრადიციულად კითხვის ჩვევების განვითარების ორი თეორიის კონტექსტში მოიაზრება:

ფონოლოგიური თეორია - თვლის, რომ კითხვის სწავლისას ბავშმა ჯერ უნდა შეძლოს ასოს და ბგერას დაკავშირება და შემდეგ ეს ფონემური ბლოკები გამოიყენოს სიტყვების წაკითვისა და გამოთქმისათვის. ძირითადი არგუმენტი არის ის რომ ბავშვი აწყობს სიტყვას. მაგ სიტყვა დედა, ოთხი ბგერისგან შედგება, რომელის „დ“ „ე“ „დ“ და „ა“ ასოებს შეესაბამება.

მთლიანობრივი თეორიის მიხედვით ბავშვი ჯერ მთლიანი სიტყვის ცნობას სწავლობს და არა ცალკეული ასოების თუ ბგერების შეერთებას. ამ თოერიის მიხედვით სიტყვების ბგერები დაისწავლება კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით, რასაც ხელს უწყობს მასწავლებლის მხრიდან უკუკავშირი. ამიტომ, ბავშვისთვის ბგერების ერთობლიობა დედა, როგორც სიტყვა „დედა“ ჟღერს იმიტომ, რომ იგი აღიქმება დედის გამოსახულებასთან მთლიანობაში, ან წინადადებაში, მაგ. დედა ბავშვს ასეირნებს.

სწავლის პროცესში რომელიმე თეორიის უპირატესობა არ დგინდება ექსპერიმენტული გამოკვლევებით. ბავშვები, ჩვეულებრივ, იყენებენ როგორც ფონოლოგიური დეკორირების, ისე მთლიანობრივ კონტექსტუალურ სტრატეგიებს.

დისლექსიის მქონე ბავშვების სწავლებაში მთავარ მიზანს წარმოადგენს ბავშვის მიერ ბგერებთან შესატყვისი ასოების დაკავშირება და მისი დიფერენცირება. ამ შემთხვევაში ე.წ კონტექსტუალური სწავლების მეთოდი ნაკლებად ეფექტურია, თუმცა პირველ ეტაპზე ხელს უწყობს სწავლისადმი დადებით განწყობის ჩამოყალიბებას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. კითხვის და წერის ჩვევების ათვისებისას დისლექსიის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ მხედველობის, სმენის და ხელისმოძრაობის შეთანხმებული მუშაობის სწავლა. ამიტომ, ასეთი ბავშვების სწავლების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მულტისენსორული სწავლება, რომელიც ს. ორტონის ეკუთვნის.

კითხვის და მართლწერის სწავლებისას ხდება მხედველობითი (რას ვხედავ), სმენითი (რა გვესმის) და კინესთეტიკურ-ტაქტილური (რას შევიგრძნობთ) არხების ურთიერთდაკავშირება. ამიტომ, მასწავლებელმა ერთდროულად უნდა გამოიყენოს ვიზუალური, ფონეტიკური და კინესთეტიკური მეთოდები. მაგ. როდესაც ბავშვს ერთმანეთში ერევა „შ“ და „წ“ ასო-ბგერები, მათ გასარჩევად ასოების სხვადასხვაგვარი გამოხაზვა უნდა ასწავლონ.

კითხვის მულტისენსორული სწავლებისას საჭიროა მასალის ორგანიზება ელემენტარულიდან რთულისკენ. ყოველი შემდეგი ნაბიჯი უკვე დასწავლილის განმტკიცებას და სისტემატურ გამეორებას ეფუძნება. მასწავლებელი ხელმძღვანელობს წინასწარ შედგენილი პროგრამით, რომელიც მოსწავლის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს შეესაბამება.

კითხვისას ბავშვის კონკრეტული პრობლემის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური, სპეციალური სავარჯიშოები, იმის გათვალისწინებით თუ რა სახის პრობლემა აქვს ბავშვს კითხვისას: მთლიანი სიტყვები ნახატებით, წინადადება სიუჟეტით, მხოლოდ სიტყვები და ტექსტები სხვადასხვა შრიფტით ან გაფერადებული ასოებით.

ბავშვის წახალისება მნიშვნელოვნად ზრდის ჩვევების გამომუშავების ეფექტურობას. შენიშვნას აუცილებლად უნდა ქონდეს ბავშვისთვის მისაღები ფორმა და ფორმულირებული უნდა იყოს ბავშვითვის მშიდი ტონი. ის უნდა გრძნობდეს მასწავლებლის მხარდაჭერას.

თუ ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჩვეულებრივ კლასში სწავლობს, მასწავლებელმა კლასში უნდა შეაფასოს სიტუაცია და ჩაატაროს პროფილაქტიკური სამუშაოები, რათა ბავშვი დაიცვას თანატოლების დაცინვისგან. ყოველთვის სასარგებლოა ბავშვის ძლიერი მხარეებისა და მათი შესაძლებლობების ხაზგასმა, ბავშვებთან საუბარი იმაზე, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულია და ყველას სხვადასხვა რამ გამოსდის უკეთესად.

დისლექსიის მქონე ბავშვების სწავლებისას ასევე მნიშვნელოვანია:

- ✓ კითხვის დროს ტექსტისთვის თითის გაყოლება;
- ✓ ხმამაღლა კითხვა;
- ✓ „ფერადი სახაზავი“, ფერადი გამჭვირვალე შუშა ტექსტზე. კვლევებმა აჩვენა, რომ თუ ტექსტის ფონი იცვლება დისლექსიის მქონე მოსწავლეებს უადვილდებათ კითხვა.
- ✓ განსხვავებების ხმამაღლა აღნიშვნა;
- ✓ მეტი დროის მიცემა დავალების გადაწერის დროს;

წყვილში კითხვა - ძალიან ეფექტურია კითხვის პროცესში მშობლების მონაწილეობა. ამ სტრატეგიის მიხედვით მშობელი ზის ბავშვის გვერდით და მასთან ერთად კითხულობს ხმამაღლა. ამ ფაზაში მშობელი ბავშვს უსწორებს შეცდომებს, აძლევს სიტყვის სწორად გამოთქმის მაგალითს. როდესაც ბავშვი მზად არის დამოუკიდებელი კითხვისთვის, მშობელი არავერბალურად ანიშნებს ბავშვს, რომ ჩუმათ იქნება და მოუსმენს მის კითხვას. თუ ბავშვი შეცდომას უშვებს მშობელი არავერბალურად ანიშნებს და ეხმარება სწორად წარმოთქმაში.

სიმულტანური ზეპირი მართლწერა - ერთ ერთი ეფექტური მართლწერის მეთოდია. ბავშვს ჯერ სიტყვას აძლევენ გადასაწერად, იგი იწერს და გადაწერის პროცესში ხმამაღლა იმეორებს ყოველ ასოს. ყოველი ცდის შემდეგ ბავშვს მოეთხოვება, შეამოწმოს გადაწერილი სიტყვის ასოები. სამი თანმიმდევრული ცდის შემდგომ პროცედურა მეორდება, მაგრამ ახლა სიტყვის რეპროდუქცია ევალება. ეს მეთოდი სამი დღე მეორდება სხვადასხვა სიტყვაზე. თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უფრო ეფექტურია სპეციალური ჯგუფური მუშაობა, როდესაც ბავშვებს აქვს თამაშის, შეჯიბრის სიტუაცია და მაღალი მოტივაცია.

ამ მეთოდისთვის ყოველდღიურად ყოველდღიურად ათი წუთია გამოყოფილი. გამოსათქმელი სიტყვების სია არ უნდა იყოს ხუთზე მეტი. ერთი და იგივე სია სამი დღის განმავლობაში უნდა მეორდებოდეს. ასე რომ კვირაში სულ ათი სიტყვა ისწავლება.

- დაწერეთ სიტყვა ან სიტყვა ააწყვეთ ასოებისგან, გამოთქვით ხმამაღლა და აუხსენით ბავშვს მისი მნიშვნელობა.
- თხოვეთ ბავშვს გადაწეროს, ან ააწყოს სიტყვა და ამავე დროს ხმამაღლა გაიმეოროს ყოველი ბგერა.
- თხოვეთ ბავშვს, მოდელს შეადაროს მის მიერ კოპირებული სიტყვა.
- როდესაც ბავშვი სწორად გადაწერს სიტყვას და გამოთქვამს ასოებს, თხოვეთ, ცოტა ხანს კარგად შეხედოს სიტყვას და დაიმახსოვროს. ამის შემდეგ დააფარეთ სიტყვას ფურცელი და თხოვეთ, აღადგინოს, თვითონ დაწეროს და თან ხმამაღლა გაიმეოროს ასოები.
- თხოვეთ მას შეამოწმოს, სიტყვის ასოები შეესაბამება თუ არა მოდელს. თუ ბავშვი სამ ცდაში სწორად წერს სიტყვას და ასახელებს ასოებს, გადადით სხვა სიტყვაზე.
- ასეთი წესით 5 სიტყვაზე უნდა ივარჯიშოთ სამი დღის განმავლობაში.

პედაგოგიური თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა აქტიური კითხვის მეთოდის გამოყენება ვერბალური დასწავლის პრობლემების მქონე ისეთ ბავშვებთან, ვისაც უჭირთ წაკითხულის გაგება. მასწავლებელი ამ მეთოდს ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს:

პირველი ნაბიჯი - ტექსტის სკანირება, ქვეთავების ან აბზაცების აღნიშვნა.

მეორე ნაბიჯი - ტექსტის მიხედვით კითხვების შედგენა, რომელსაც ბავშვმა უნდა უპასუხოს დეტალური კითხვის შემდგომ.

მესამე ნაბიჯი -ყოველი სექციის წაკითხვა შეკითხვის მიხედვით და შემდეგ პასუხის ჩაწერა.

მეოთხე ნაბიჯი - ყოველი სექციისათვის ამ პროცედურის დასრულების შემდეგ უნდა წაიკითხონ კითხვები და პასუხები.

მეხუთე ნაბიჯი - კითხვებზე პასუხის ზეპირი გაცემა.

მეექვსე ნაბიჯი - გაცემული პასუხის სისწორისა და სიზუსტის შემოწმება.

მეშვიდე ნაბიჯი - მასალის ვიზუალურ-სივრცითი წარმოდგენა, დახატვა, სქემის გამოსახვა.

კითხვის უნარის ვიწრო შეფასებისთვის დასავლეთში იყენებდნენ სტანდარტულ, ინტელექტის შესამოწმებელ ტესტებს. სრულყოფილი სურათის მისაღებად, აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება არა მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიური გამოკვლევებისა და მის ქცევაზე უშუალო დაკვირსების მეშვეობით, არამედ მშობლისა და მასწავლებლის ინტერვიურების შედეგადაც.

2.2 ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი

კლინიკური ტერმინი ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი ხმარებაში შემოვიდა მეოცე საუკუნის შუა წლებში, როდესაც ექიმებმა იპოვეს ზოგადი დასახელება დაავადებისთვის, რომელსაც ადრე უწოდებდნენ „ტვინის მინიმალური დისფუნქციას“, „სწავლის/ქცევის დარღვევა“, მკვლევარებს სჯერათ, რომ ეს დაავდება ადრეც მოიხსენიებოდა სხვადასხვა კონტექსტში.

მსოფლიოში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის გავრცელება აღემეტება ხუთ პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაავდება აღენიშნება მამაკაცთა ათ პროცენტს და ქალთა ოთხ პროცენტს.

AD/HD -ს არ იწვევს ერთი კონკრეტული მიზეზი, მკვლევარები ცდილობენ სინდრომის გამომწვევი მიზეზების: გენეტიკური, ბიოქიმიური, ნეირობიოლოგირი და გარემო პირობებთან დაკავშირებულ ფაქტორთა ახსნას.

კვლევებმა დაადგინა, რომ არ არის გარკვეული კოლერაცია ფეხმძიმობისას სიგარეტისა და ალკოჰოლის მოხმარებასა და ნაყოფის AD/HD - თი დაავადების შორის. სიფრთხილის მიზნით უპრიანი იქნებოდა თუ ფეხმძიმე ქალები თავს შეიკავებენ მავნე ჩვევებისგან.

აგრეთვე ერთ-ერთი გარემო ფაქტორია სკოლამდელი ასაკის ბავშვების სხეულში დიდი რაოდენობით ტყვიის არსებობა. რისკის ჯგუფად რჩებიან ბავშვები რომლებიც, ძველ, ტყვიის შემცვლელი საღებავით შეღებილ სახლებში ცხოვრობენ.

უყურადღებობა, ჰიპერაქტიურობა და იმპულსურობა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის (ADHD -ის) ძირითადი სიმპტომებია. ბავშვის აკადემიური მოსწრება ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ყურადღების მინიმალური მოწყვეტით შეასრულოს დავალებები და გაამართლოს მასწავლებლის და კლასის მოლოდინები. აღნიშნული სინდრომით უფრო ხშირად ბიჭები ავადდებიან, ვიდრე გოგონები. წლების განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ეს დარღვევა სამი წლის ასაკში მჟღავნდებოდა და ასაკის მატებასთან ერთად უჩინარდებოდა. ახლა კი დადგენილია, ეს მდგომარეობა მხოლოდ ადრეული ასაკით არ შემოიფარგლება. უკვე ცნობილია, რომ სიმპტომები ასაკის მატებასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ თავს ვერ აღწევს.

ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომისთვის დამახასიათებელი ქცევა შეიძლება შეიცვალოს ასაკთან ერთად. მაგ. სკოლამდელი ასაკის ბავშვი ამჟღავნებს მოტორულ ჰიპერაქტივობას - სულ დარბის, ცოცავს ან ხშირად ცვლის ერთ აქტივობას მეორეთი. უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვმა შეიძლება გამოამჟღავნოს მოუსვენრობა, მაგალითად ითამაშოს სკამით ან მაგიდით. ისინი ხშირად ვერ ახარხებენ საშინაო დავალების ბოლომდე შესრულებას ან საერთოდ უყურადღებოდ ეკიდებიან დავალებას.

ამერიკელ პედიატრთა ასოციაციის (APA) გონებრივი დარღვევის დიაგნოსტიკური სტატისტიკის მიხედვით, შესაძლებელია სინდრომის დიაგნოსტირება ქცევის მიხედვით. ამ მდგომარეობაში მყოფი ინდივიდები ამჟღავნებენ ქცევების შემდეგ კომბინაციას:

- ხელებით ან ფეხებით თამაში, ცმუკვა სკამზე.
- უჭირთ ერთ ადგილას ჯდომა, როდესაც ეს სავალდებულოა.
- უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია და საკუთარი რიგის ლოდინი პასუხის გაცემის, თამაშის ან ჯგუფური აქტივობების დროს.
- გადადიან ერთი დაუმთავრებელი აქტივობიდან მეორეზე.
- კარგავენ დავალებისა და აქტივობის შესრულებისთვის საჭირო საგნებს.
- უჭირთ მოსმენა.
- ხშირად ეცვლებათ განწყობილება.
- უჭირთ ემოციების და სურვილების მოთოკვა.

მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებთან, იყენებენ სამ განზომილებიან სტრატეგიას. მუშაობის პროცესი თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრით იწყება:

- ბავშვის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შეფასება. შეაფასეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპეაქტივობის სინდომის მქონე თითოეული ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებები და ძლიერი მხარეები. სხვადასხვა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ჯგუფთან და ბავშვის მშობლებთან ერთად განიხილეთ ბავშვის, როგორც აკადემიური, ასევე ქცევითი საჭიროებები. შეფასებაში უნდა გაითვალისწინოთ ის კონტექსტი და გარემო, სადაც თავს იჩენს ხოლმე ქცევითი პრობლემები.
- შეარჩიეთ მართებული საინსტრუქციო პრაქტიკები. განსაზღვრეთ თუ რომელი პრაქტიკა შეესაბამება ყველაზე უკეთ ბავშის აკადემიურ და ქცევით საჭიროებებს.
- სპეციალიტებით დაკომპლექსებულ ჯგუფთან და მშობლებთან ერთად საჭიროა შეიქმნას ინდივიდუალური პროგრამა, სადაც აისახება ყოველწლიური მიზნები და განათლებასთან დაკავშირებული სხვა სპეციალური სერვისები.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის შემუშავებული წარმატებული პროგრამები აერთიანებს შემდეგ სამ კომპონენტს:

- ✓ აკადემიური ინსტრუქციები.
- ✓ ქცევითი ინტერვენციები.
- ✓ საკლასო ინვენტარი და გარემო.

პირველი ყველაზე ეფექტური კომპონენტი არის აკადემიური ინსტრუქციები, რომელიც მოიცავს შემდეგი პუნქტების გათვალისწინებას:

- წინასწარ გააცანით მოსწავლეებს დღის გეგმა. მოამზადეთ ისინი გაკვეთილისთვის - მოკლეთ აღწერეთ სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობების თანამიმდევრობა.
- გადახედეთ განვლილ მასალას. მიმოიხილეთ ინფორმაცია წინა გაკვეთილების დროს გავლილი თემების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ მოლოდინები. დააფიქსირეთ რის ათვისებას ელოდებით მოსწავლეებისგან ამ გაკვეთილზე.
- განსაზღვრეთ საჭირო მასალები. უთხარით მოსწავლეებს რა ინვენტარი დასჭირდებათ მათ გაკვეთილზე. ნუ მიანდობთ მათ ეს თავად განსაზღვრონ.
- ახსენით დამატებითი რესურსები. უთხარით, ბავშვებს როგორ მიიღონ დახმარება კონკრეტული დავალების შესრულებისთვის, მიუთითეთ სახელმძღვანელო, გვერდი.

გაკვეთილი რომ იყოს პროდუქტიული მასწავლებელი პერიოდულად ამოწმებს, როგორ გაიგო მოსწავლემ მასალა, ხომ არ სჭირდებათ დამატებითი დახმარება. ეფექტური გაკვეთილისთვის მასწავლებელს ასევე დაეხმარება შემდეგი სტრატეგიები:

- იყავით პროგნოზირებადი. სტრუქტურა და თანმიმდევრულობა ძალიან მნიშვნელოვანია ამ სინდრომის მქონე მოსწავლეებისთვის. მათი დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ცვლილებასთან გამკვალებას.მათთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ რას მოელიან მათგან.
- მხარი დაუჭირეთ ბავშვების მონაწილეობას საკლასო აქტივობებში. სხვებისგან შეუმჩნევლად ესროლეთ ისეთი რეპლიკები, რომელიც დაეხმარება მათ შეინარჩუნონ კონცენტრაცია დავალებებზე. დაუშვებელია სარკაზმი და კრიტიციზმი ბავშვების ამ კატეგორიის მიმართ.
- გამოიყენეთ აუდიოვიზუალური მასალები, მაგალითად პროექტორი მასალის საილუსტაციოდ.
- დაყავით სამუშაო, დავალებები მცირე ნაწილებად და საერთოდ ამოიღეთ ან შეამცირეთ დროში შეზღუდული ტესტების სიხშირე, რადგან ისისნი მეტისმეტად არიან ხოლმე შეშფოთებულები დროის დეფიციტით.
- წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ გაკვეთილი უნდა დასრულდეს დაახლოებით 5 წუთში და გადახედეთ მომდევნო გაკვეთილის მასალას.

წარმატებული მასწავლებლები მთელ რიგ ქცევით ინტერვენციებს იყენებენ, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს გააკონტროლონ საკუთარი ქცევა. მნიშვნელოვანია ვერბალური წახალისება და ხშირი ქება. ისეთი მარტივი ფრაზები, როგორიცაა „ყოჩაღ“ სტიმულს აძლევს მოსწავლეს მოიქცეს კარგად, თუმცა შექებისას განსაზღვრეთ იყოთ ობიექტურები.

გარდა ვერბალური წახალისებისა, განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას:

- სელექციურობა. ხანდახან ეფექტურია თუ მასწავლებელი მიზანმიმართულად არ მიაქცევს ყურადღებას არასასურველ ქცევას.
- ნუ გამოიყენებთ მოუხერხებელ საგნებს. მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ისეთი საგნები, როგორიცაა სათამაშოები, ართობენ ბავშვებს, განსაკუთრებით კი ამ სინდომის მქონე მოსწავლეებს. ამგავრი საგნების ჩამორთმევა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ჯერ

გააფრთხილებთ ბავშვებს ამის შესახებ და უზრუნველყავით ბავშვები დამამშვიდებელი სხვა ალტერნატივებით. არსებოსბ ასევე ისეთი საგნებიც რომლის ხელში ჭერა და მანიპულირება დადებითად მოქმედებს მოსწავლეების ამ კატეგორიაზე.

- ნება დართეთ მოსწავლეებს დატოვონ საკლასო ოთახი ცოტა ხნით, მაგალითად წიგნის დასაბრუნებლად ბიბლიოტეკაში. ეს საშუალებას მისცემს მათ დაწყნარდნენ და მეცადინეობას უფრო კონცენტრირებულები დაუბრუნდნენ.
- მნიშვნელოვანია ხშირი შეხვედრები მშობლებთან. მათი ხშირი ჩართულობა სასწავლო პროცესში პოზიტიურ გავლენას ახდენს.მშობლები, როგორც პარტნიორები, აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ დაგეგმარებაში, რომლის საბოლოო მიზანია მოსწავლეთა წარმატება.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეთა ეფექტური განათლების სტრატეგიის მესამე კომპონენტი გულისხმობს საკლასო ოთახს და გარემოს. ასეთ ბავშვებს ხშირად უჭირთ საკლასო ოთახის სტრუქტურირებულ გარემოსთან შეგუება. მათზე დადებითად მოქმედებს ისეთი გარემო, რომელიც ნაკლებად იზიდავს მათ ყურადღებას და უადვილებს მათ კონცენტრაციის შენარჩუნებას დავალებასა და სწავლის პროცესზე.

როდესაც საკლასო ოთახზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ რომ ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თუ სად ზის ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდომის მქონე მოსწავლე, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდეგი სამი კომპონენტი:

- ✓ დასვით ბავშვი მასწავლებელთან ახლოს. მიუჩინეთ ბავშვს ადგილი თქვენს მაგიდასთან ან წინა რიგში, რაც საშუალებას მოგცემთ მუდმივად გაუწიოთ მას მეთვალყურეობა და დააკვირდეთ მის ქცევას.
- ✓ დასვით ბავშვი სამაგალითო მოსწავლესთან ახლოს, რაც საშუალებას მისცემს მიბაძოს სანიმუშო მოსწავლეს და იმუშაოს მასთან ერთად კონკრეტულ დავალებებზე.
- ✓ უზრუნველყავით მშვიდი სამუშაო გარემო, რათა მოსწავლეებმა წყნარად შეძლონ დავალების შესრულება.

2.3 გონებრივი ჩამორჩენილობა

ტერმინი „გონებრივი ჩამორჩენილობა“ ნიშნავს ფუნქციონირების საშუალოზე დაბალ დონეს. ეს მრავალმნიშვნელოვანი ტერმინი ასოცირდება მთელ რიგ ისეთ სტერეოტიპულ წარმოდგენებთან, როგორიცაა მაგალითად დაუნის სინდრომით დაავადებული ახალგაზრდები, სიღარიბეში მცხოვრები, სტიმულაციას მოკლებული მცირეწლოვანი ბავშვები და საზოგადოებასთან შეგუების უნარდაქვეითებული ზრდასრული ადამიანები.

ვინაიდან ეს ტერმინი ზოგადია, იგი მოიცავს ინდივიდთა ჯგუფების მრავალსახეობას და გულისხმობს გონებრივი შეზღუდულობის სხვადასხვა ფორმას, ამავდროულად იგი არ შეესაბამება არცერთ გონებრივ დაავადებას.

აღნიშნული სინდრომი, უმეტესწილად, ხასიათდებოდა ორი განზომილებით - ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდულობით და გერმოს სოციალურ მოთხოვნებთან შეგუების სირთულით. გრინსპენმა გონებრივი ჩამორჩენილობა აღწერა, როგორც გონების „ყოველდღიური რუტინული“ პრობლემა. აქედან გამომდინარე გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანები განიხილებიან, როგორც ცხოვრებისა და საზოგადოების მოთხოვნებთან ადაპტაციის თვალსაზრისით პრობლემების მქონე პირები.

განმარტების მიხედვით, ამ სინდრომის მქონე ყველა პირი უნდა ავლენდეს გონებრივი შესაძლებლობების გარკვეული ხარისხით დაქვეითებას, რაც ინტელექტუალური შესაძლებლობების (IQ) საშუალოზე დაბალ დონეში აისახება. გარდა ამისა, ეს პიროვნებები უნდა ავლენდნენ ისეთი ადაპტაციური უნარების დაბალ დონეს, როგორიცაა სოციალური, ქცევითი და ფუნქციურ-აკადემიური უნარები.

გონებრივი ჩამორჩენილობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ღრმა ფორმები გამოიყოფა, რომლებიც ასახავენ შეზღუდულობის ყველაზე მნიშვნელოვან დონეებს, როგორც ინტელექტუალური შესაძლებლობის, ასევე ადაპტაციური ქცევის შეფასების მიხედვით.

- მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობის დროს მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9-12 წელს. ვლინდება სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები და

სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უნარის ნაკლებობით.

- საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობისას მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება
- 6-9 წელს. ვლინდება განვითარების თვალსაჩინო შეფერხება ბავშვობაში; ირღვევა თვითმომსახურების უნარი და საჭიროებს სხვადასხვა დონის დახმარებას საზოგადოებრიც ცხოვრებაში ადაპტაციისთვის.
- მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობის ასაკი შეესაბამება 3-6 წელს და ჩვეულებრივ საჭიროებს მუდმივ დახმარებას.
- ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის ასაკი მოზრდილებში 3 წლამდე ასაკს შეესაბამება. ვლინდება თვითმომსახურების, გადაადგილების და კომუნიკაციის მძიმე დარღვევები.

ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის თანახმად, გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა დონის და რა ხარისხის დახმარება ესაჭიროება ბავშვს, ანუ რამდენად დამოუკიდებელია ან საჭიროებს დახმარებას დედის ან მომვლელის მხრიდან.

პერიოდული: დახმარება ხასიათდება ეპიზოდურობით, ან მოკლევადიანობით. მაგალითად, სამსახურის დაკარგვის ან მწვავე სამედიცინო კრიზისის დროს.

შეზღუდული: დახმარების ინტენსიობა ხასიათდება მოკლევადიანობით, რაც განსხვავდება „პერიოდული დახმარებისგან და მოითხოვს ნაკლებ სახსრებსა და ადამიანურ რესურსებს, ვიდრე დახმარების ინტენსიური დონეები.

ვრცელი: დახმარება ხასიათდება ჩართულობის რეგულარულობით, ხორციელდება ერთ გარემოში, არ არის შეზღუდული დროის თვალსაზრისით.

ფართო: დახმარება ხასიათდება მუდმივობით, მაღალი ინტენსიობით, გარემოებების მრავალსახეობით, ის პოტენციურად საციცოხლო მნიშვნელობისაა. ფართო დახმარება გულისხმობს მეტი ადამიანებისა და სხვა რესურსების გამოყენენებას.

ამ სინდრომის ერთ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება გახლავთ აზროვნების თვასაჩინოობა: როდესაც ბავშვები ხასიათდებიან აზროვნების თვალსაჩინოობით, ბავშვებს უჭირთ იფიქრონ ისეთ საგნებზე და მოვლენებზე, რომლებიც აბსტაქტულია ანუ მოცემულია თვალსჩინოებების გარეშე. მაგალითად იმისთვის, რომ ისწავლონ კონგრეტული სიტყვების კითხვა, აუცილებელია ამ სიტყვებს თან ახლდეს სურათები. ასევე არითმეტიკული მაგალითების გამოყვანა სასურველია სათვლელი, ჩხირების და სხვადასხვა თვალსაჩინოებების გამოყენებით.

რეკომენდაცია: ყოველთვის უხვად გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა, როდესაც ცდილობთ ბავშვს დაასწავლოთ ახალი მასალა.მცირე მოთხრობების სწავლისას გამოიყენეთ პატარა სიუჟეტები, ბავშთან ერთად შექმენით კოლაჟები და ნახატები.

- სწავლის ნელი ტემპი. ახალი მასალის ათვისებისას, შშმ ბავშვებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ, ვიდრე სხვა მათ თანატოლებს. შესაძლოა მასალა მხოლოდ სემესტრის

ბოლოს იქნას ათვისებული, ამიტომ მშობლებს და მასწავლებლებს დიდი ნებისყოფა სჭირდებათ.

- მიყევით ბავშვის ინდივიდუალურ ტემპს, ნუ იჩქარებთ და ნუ შეცვლით სწრაფად მასალებს. დაელოდეთ, სანამ დასახული მიზანი გამტკიცდება.
- გამოიყენეთ თვალსაჩინოები,რომლებიც მხოლოდ იმ კონკრეტულ შინაარს მოიცავს,რომელიც სასწავლო ამოცანას წარმოადგენს. ერთ ჯერზე მიეცით მხოლოდ ერთი ინსტრუქცია, დაელოდეთ, სანამ გადაამუშავებს ინფორმაციას და მხოლოდ მაშინ გადადით ახალზე,როდესაც დარწმუნდებით, რომ გაიგო ინსტრუქცია და შეასრულა. ნუ მიაწოდებთ ერთ ჯერზე ბევრ ინფორმაციას, აკონტროლეთ, რომ ინსტრუქციები იყოს მარტივი და არ შეიცავდეს სხვა აბსტრაქტულ ცნებებს.
- იმ ინდივიდებს, ვისაც უჭირთ ხელით ნატიფი მოძრაობების შესრულება, რომელიც აუცილებალია კალმის, მაკრატლის, დანა-ჩანგლის ხმარებისათვის შეცადეთ, რომ გამოიყენონ მათთვის უფრო კომფორტული და ხელში ნაკლებად სრიალა საგნები.

გონებრივი განვითარების დარღვევის შემთხვევაში ბავშვს ხშირად უჭირს დაამყაროს ადეკვატური ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან, ზოგჯერ ურჩევნია ურთიერთობა თავისზე ასაკით პატარებთან. ვერ ემორჩილება გარკვეულ წესებს, რეჟიმს. ვლინდება პრობლემები მეტყველებაში და სხვისი მეტყველების გაგებისას. ბავშვს უჭირს ჩაერთოს გუნდურ თამაშებში.

იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარებას და მასთან ადეკვატური ურთიერთობა დაამყაროთ რეკომენდებულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- ასწავლეთ ბავშვს ერთსიტყვიანი ინსტრუქციების შესრულება, როგორიცაა „აიღე“, „დადე“, „მომიტანე“, „დაჯექი“ და სხვა. იმისთვის, რომ ბავშვმა სიტყვიერი ინსტრუქციის შესრულება ისწავლოს, შესაძლოა საწყის ეტაპზე სიტყვიერი ინსტრუქციის გამოყენებასთან ერთად თვალსაჩინო ფიზიკური აქტივობის განხორციელებაც დაგჭირდეთ. ასე მაგალითად, ინსტრუქცია „დაჯექის“ სწავლებისას ხელით მიანიშნოთ სკამზე. როდესაც ბავშვი აღნიშნულს დაისწავლის, ფიზიკური მინიშნება გამორიცხეთ და დატოვეთ მხოლოდ სიტყვიერი.
- თანდათანობით შეგიძლით გადახვიდეთ თანმიმდევრული ინსტრუქციების დასწავლაზე, რაც რამდენიმე საფეხურიან ინსტრუქციას ნიშნავს. მაგალითად „აიღე კალამი და მომიტანე“ ორსაფეხურიანი ინსტრუქციაა, ხოლო „შედი საძინებელში, აიღე კალამი და მომიტანე“ - სამსაფეხურიანი. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებს სჭირდებათ მრავალჯერადი გამეორება, ამიტომ თქვენ განსაკუთრებული ნებისყოფა და თანმიმდევრულობა გმართებთ, რათა ასწავლოთ ბავშვს თანმიმდევრული ინსტრუქციების შესრულება.
- როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბავშვებს ახასიათებთ აზროვნების თვალსაჩინოობა, ისინი უკეთ სწავლობენ, თუკი სიტყვებთან ერთად შევთავაზებთ მის აღმნიშვნელ საგანს ან საგნის სურათს. სახლის, სამზარეულო, ქუჩა თუ პარკი ძალზე კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ დაეხმაროთ საგნების სახელდების ათვისებაში და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. მაგალითად, სამზარეულოში ყოფნისას,

როდესაც ბავშვს ასადილებთ, შეეცადეთ გაახმოვანოთ მთელი პროცესი ანუ დაასახელეთ ხმამაღლა ნივთები რომელსაც კონკრეტულ მომენტში იყენებთ.

- იმისთვის, რომ ბავშვებს განუვითარდეთ თვითმომსახურების უნარები, საჭიროა გვახსოვდეს, რომ გარემო და რესურსები უნდა იყოს შესაბამისი. ნუ მოინდომებთ ბავშვს ყველაფერი ასწავლოთ ერთად. შეარჩიეთ ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე სასწავლო მიზანი და აუცილებლად ნებისმიერი აქტივობა დაყავით ბიჯებად.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა განათლება ინკლუზიურ ქსელში წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას როგორც სსსმ მოსწავლეების, ისე მათი თანატოლებისა და მასაწავლებლებისთვის. პედაგოგებმა უპირობოდ უნდა მიაწოდონ მათ ხარისხიანი პროგრამები, რომლის გამოყენებითაც მოსალოდნელია, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოზარდებმა შეძლონ იცხოვრონ იმ ცხოვრებით, რომელსაც ყველა ადამიანი ესწრაფვის.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებისთვის განსაზღვრულია ოთხი პირველადი ამოცანა: პროდუქტიული დასაქმება, დამოუკიდებლობა და ეკონომიკური თვითმყოფადობა, ცხოვრებისეული უნარ ჩვევების ფლობა და შესაძლებლობა, სკოლასა და საზოგადოების ცხოვრებაში წარმატებით მონაწილეობა.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებით უნდა იყოს ნაკარნახევი ყველა სხვა გრძელვადიანი გეგმა ამგვარი მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ისე დაგეგმონ პროგრამები, რომ მათ მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმები და ინტრუქტაჟი ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული პრიორიტეტული მიზნების განხორციელებას.

დასაქმებასთან მიმართებაში, მასწავლებლებმა ხელი უნდა შეუწყონ ცნობიერების განვითარებას მოსწავლეებში და დაანახონ, მათ თუ რა მნიშვნელობა აქვს აკადემიურ ცოდნას აღნიშნული პერსპექტივის განხორციელებისას. შემდეგ დონეზე ეს ძალისხმევა უნდა მოიცავდეს ტრენინგის პროფესიული ცოდნის დასაუფლებლად ამა თუ იმ სფეროში. ამგვარად დამოუკიდებლობა უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს მიზანს იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც პროფესიულ განათლებას აძლევენ აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებს.

დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური თვითმყოფადობის მისაღწევად საჭიროა, მოზარდები აღიჭურვონ პასუხისმგებლობის გრძნობით იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა წარმატებული ინკლუზია დამოკიდებულია მასწავლებელთა და თანატოლთა უნარზე, ასევე, სასწავლო გეგმაზე, რომელიც ხელს უწყობს სტიმულირებისათვის საჭირო სივრცის შექმნას. სტიმულირება მოიცავს ეფექტიანობას, პიროვნული კონტროლის გრძნობას, თვითშეფასებას, საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების შეგნებას. სტიმულირება არ არის ინკლუზიური კლასის ავტომატური პროდუქტი. თუმცაღა, როცა სტუდენტები თავს გრძნობენ ჯგუფის წევრად და პრაქტიკულად ახორციელებან საკუთარ უფლებას, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, ეს მნიშვნელოვნად ზრდის მათ მზაობას ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად და წარმატების მასაღწევად.

მესამე ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩართვა პროგრამაში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ყოველდღიური აქტივობისათვის აუცილებელი კომპეტენციის გასავითარებლად. ეს სფერო მოიცავს საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებას, საოჯახო და სამეურნეო საქმიანობას, სოციალური და ადამიანთა შორის ურთიერთობის უნარს, ზრუნვას ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, თავისუფალი დროის გამოყენებას, მონაწილეობას საზოგადოებივ ცხოვრებაში, საკანონმდებლო და კულტურული სტანდარტების თანახმად. ინკლუზიისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიდგომის შემთხვევაში, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური განათლების მესვეურთათვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებას და გარდამავალ პერიოდზე ორიენტირებული სწავლების ჩართვა ზოგადი განათლების პროგრამაში, დაწყებული ელემენტალური სასკოლო დონიდან სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მთავარი საზრუნავი სკოლასა და საზოგადოებასთან ინკლუზიის და ცხოვრებასთან შეგუების საკითხში სოციალური უნარ ჩვევების დაუფლებაა. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა, სარგენტის მიერ შემუშავებული ნიმუში, რომელიც მოიცავს სამ პროცესს: სოციალური ეფექტის განვითარებას, სოციალურ უნარ ჩვევებს და სოციალურ კოგნიციას.

მეოთხე ამოცანას საზოგადოებაში წარმატებული ჩართულობა მოსწავლისგან მოითხოვს ინკლუზიური გარემოს გამოცდილებას. ზოგადსაგანმანათლებლო კლასის ფარგლებში გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ, როგორ მიიღონ მონაწილეობა სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართალია, ინკლუზია სკოლაში ზოგიერთის მიერ აღიქმება როგორც საბოლოო მიზანი, თუმცაღა უმჯობესია, იგი განხილული იქნას როგორც საშუალება, რომელსაც შეუძლია აღჭურვოს მოსწავლე ინსტრუქციითა და ტრენინგით, რაც ხელს შეუწყობს მას, წარმატებას მიაღწიოს ინკლუზიურ საზოგადოებრივ აქტივობაში.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა ინკლუზიისათვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ მხარდაჭერას, დამხმარე სერვისებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფას. აღნიშნული მოდელი გულისხმობს, რომ ინდივიდი უნდა რჩებოდეს ინკლუზიურ კლასში და მაქსიმალურ ხელშეწყობას იღებდეს, რათა წარმატებით გაართვას თავი სწავლას.

მოსწავლეთა უბრალო მოთავსება სკოლაში სოციალური ინტეგრაციის, აქტიური მონაწილეობის და ჩართულობის გარეშე არ წარმოადგენს ინკლუზიის არსს და მეტად საეჭვოა, ამან პოზიტიური შედეგი მისცეს ინდივიდს.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებსა და განხორციელების დროს სპეციალური და ზოგადი განათლების პედაგოგებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მოსწავლეები საჭიროებენ გასაგებ და ვრცელ კურიკულუმს მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კურიკულუმი არ უნდა ატარებდეს მხოლოდ აკადემიური ორიენტაციის ხასიათს, არამედ უნდა

შეიცავდეს სოციალური და ცხოვრებისეული უნარებისა და გარდამავალ პერიოდში საჭირო უნარების განვითარების ხერხებს.

სასწავლო გეგმის შერჩევისას პედაგოგმა უნდა შეარჩიოს კლასის ზოგადი სწავლების უნარი და მიუსადაგოს კურიკულუმი აღნიშნული სინდრომის მქონე მოსწავლეების საჭიროებებს. საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა სკოლაში ინკლუზია, არამედ ინკლუზია საზოგადოებაში ან ცხოვრებაში. ის სასწავლო გეგმა, რომელიც გათვლილია ამ მიზნის მისაღწევად ითვლება წარმატებულად. მოსწავლეების პროგრამების ეფექტიაონობის შეფასების საკვანძო შეკითხვაა, რისთვის არის ეს პროგრამა ეფექტიანი?რას აძლევს სკოლა მოსწავლეებს? გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა ინკლუზიის გამოწვევა მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასწავლო გეგმამ ისინი მომავლისთვის და ჯანსაღი ურთიერთობებისთვის უნდა მოამზადოს.

2.4 აუტიზმი

აუტიზმის სპექტრის დარღვევა მიეკუთვნება განვითარების დარღვევათა იმ კლასს, რომელიც ერთაინდება ნეიროგანვითარების დარღვევათა კლასში. იგი ძირითადად თავს იჩენს 3 წლის ასაკისთვის, თუმცა მისი პირველი ნიშნები 12 თვის ასაკიდან ხდება შესამჩნევი. სიტყვა „სპექტრი“ მიუთითებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში, დიაგნოზისთვის დამახასიათებელი ნიშნები შესაძლებელია გამოხატული იყოს სხვადასხვანაირად (სუსტი, საშუალო, ძლიერი).

პირველად აუტიზმი 1943 წელს აღწერა Leo Kanner -მა ადრეული ბავშვობის აუტიზმის სახელწოდებით. იგი გამოყოფდა შემდეგ დამახასიათებელ ნიშნებს:

- სოციალური ურთიერთობის დამყარების უუნარობა;
- კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების შეუძლებლობა;
- ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა;
- საგნებით გატაცება;

აუტიზმის სპექტრის დარღვევის ძირითად სირთულეს წარმოადგენს თავის ტვინში მიმდინარე პროცესები და ინფორმაციის ინტეგრაცია, რაც აისახება სოციალურ ურთიერთობებზე, კომუნიკაციასა და ქცევაზე.

აუტიზმის სპექტრის აშლილობა არის კომპლექსური დარღვევა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. მისთვის დამახასიათებელია სირთულეები ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაში, სოციალური ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაში. ასეთი ბავშვი არ აქცევს ყურადღებას ოჯახის წევრებს, არ თამაშობს სხვა ბავშვებთან, ვერ ახერხებს სხვა ადამიანისა და სიტუაციის ემოციური კონტექსტის აღქმას, უჭირს საკუთარი აზრის, ემოციის ინტერესის სხვებისთვის გაზიარება. აქვს შეზღუდული ინტერესები, არ შეუძლია წარმოსახვითი და როლური თამაში. ხშირ შემთხვევაში, აღინიშნება კოგნიტიური განვითარების დარღვევები, სენსო-მოტორული სირთულეები, თვით დამაზიანებელი ან აგრესიული, რთული ქცევა, ძილისა და კვების დარღვევა. ასევე, შესაძლებელია სახეზე იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა: შფოთვითი აშლილობა,

ბიპოლარული აშლილობა, დეპრესია, ფობიები, დისლექსია ან დასწავლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.

თანამედროვე მსოფლიოში (მათ შორის საქართველოში) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ამჟამად ეს რიცხვი შეადგენს მოსახლეობის დაახლოებით 1,5 %. საქართველოში ეპიდემიოლოგიური მაჩვენებელი უცნობია, ამიტომ მასზე ვრცელდება უცხოური კვლევების მონაცემები. ამერიკის ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის თანაფარდობა 1/68. რაც, იმის მანიშნებელია, რომ ყოველი 68-ე ბავშვიდან ერთი იბადება დიაგნოზით. ვაჟების თანაფარდობა გოგებთან ¼.

სხვადასხვა კვლევები ადასტურებს, რომ აღნიშნული დარღვევა, როგორც მდგომარეობა არის მულტიფაქტორული.ვინაიდან, მისი გამომწვევი მიზეზი დაუზუსტებელია, იგი შეიძლება განვასხვავოთ რისკფაქტორების მიხედვით, ესენია პირველადი და მეორადი ფაქტორები.

პირველადი ფაქტორის მიხედვით მისი გამომწვევი მიზეზი დაუდგენელია, ხოლო მეორადი სპექტრის დარღვევის შემთხვევაში კი ის გამოწვეულია სხვადასხვა სამედიცინო მდგომარეობით ან განვითარების პრობლემებით.

სხვადასხვა კლინიკური კვლევების საფუძველზე აუტიზმის სპექტრის დარღვევის გამომწვევ ფაქტორებს შორის აღნიშნულია: გენეტიკური ფაქტორები, გარემო ფაქტორები, ფსიქოლოგიური, ნევროლოგიური ფაქტორები და ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობები.

აუტიზმის მქონე ბავშვები ხშირად არ რეაგირებენ საკუთარ სახელზე, ერიდებიან და არ უყურებენ სხვა ადამიანებს. ისინი გაურბიან პირდაპირ მზერას, ხშირად ეწინააღმდეგებიან ხელში აყვანას. მათ უჭირთ ხმის სიმაღლის, ტემბრის ან სახის გამომეტყველების განსაზღვრა. არ პასუხობენ სხვის ემოციებს, ვერ იგებენ სხვისი ემოციის გამოხატულებას, სახის ექსპრესიას და ჟესტებს, ნაკლებად შედიან კონტაქტში ოჯახის წევრებთან, შეიმჩნევა უცნაური გულგრილობა ახლობლების მიმართ. აუტიზმის მქონე ბავშვებს ჩვილობიდან აღენიშნებათ მიჯაჭვულობის დარღვევა და ემოციის გაზიარების პრობლემები. ამის შედეგია თანატოლებთან თამაშისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარების უუნარობა.

აუტიზმის მქონე ბავშვების უმრავლესობას გონებრივი ჩამორჩენილობის სხვადასხვა ხარისხი ახასიათებს. ბავშვებს ხშირად აქვთ ხატვის, მუსიკის, ანგარიშის, მათემატიკის, ფაქტების დამახსოვრების უნარები, თუმცა უჭირთ ცვლილებებისადმი შეგუება. ახალი გარემო მათთვის ძლიერი უარყოფითი ემოციების და შიშების წყაროა. ნაცნობი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების წესის თუნდაც მცირეოდენმა ცვლილებამ(ოთახის მოწყობაში,ჭამის თუ დაბანის პროცესში) შეიძლება ბავშვის უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს. მაგალითად, აუტიზმის მქონე ბავშვები დადიან ყოველთვის ერთი და იმავე გზით, ერთნაირი თანმიმდევრობით იცვამენ, აქვთ სტერეოტიპული რიტუალები.

აუტისტი ბავშვი თერაპიულ დახმარებაში ძირითად პრობლემას ის წარმოადგენს თუ სად უნდა ისწავლოს ასეთმა ბავშვმა, სპეციალურ სკოლაში თუ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში? ამ კითხვაზე არც საბოლოო და კატეგორიული პასუხი არსებობს და არც შედარებითი ანალიზის ფაქტები მოიპოვება რომელიმე მიდგომის სასარგებლოდ. ეთიკურად ყველა ეთანხმება ფართოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ აუტისტ ბავშვს უნდა ქონდეს ნორმალურად ცხოვრების

შესაძლებლობა და ამიტომ სპეციფიკური დამატებითი დახმარებით უნდა სწავლობდეს ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. თუმცაღა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირად რთულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირობებში აუტისტი ბავშვებისთვის შესაფერისი გარემოსა და პირობების შექმნა ისე რომ მან ადეკვატური განათლება ან დახმარება მიიღოს.

აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების ადეკვატურად შერჩეულ პროგრამებს და კარგად ორგანიზებულ სასწავლო გარემოს. სწავლების პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს ურთიერთობის, სოციალური დასწავლის,ქცევისა და ყოველდღიური ცხოვრების ჩვევების გასაუმჯობესებელი მეთოდები. ქცევის ან ურთიერთობის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ბავშვს სწავლის პროცესში, მოითხოვს კვალიფიციური პროფესიონალის დახმარებას და მის მიერ სკოლასა და სახლში განსახორციელებელი სპეციალური გეგმის შემუშავებას.

ბავშვები უნდა სწავლობდნენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და ინდივიდუალიზებული სასწავლო პროგრამით. სასწავლო ოთახი ისე უნდა მოეწყოს, რომ ხელს უწყობდეს პროგრამის რეალიზებას. როდესაც აუტისტ ბავშვს მასალა მიეწოდება როგორც, სიტყვიერად ისე ვიზუალურად ისინი მასალას უკეთ ითვისებენ და ნაკლებად იბნევიან. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი განვითარების მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, რადგან ჯანმრთელი ბავშვები იძლევიან საუბრის, სოციალური და ქცევის ჩვევების მაგალითებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლებისთვის პროგრამების შემუშავებას, რათა ასეთი ბავშვების სწავლების მეთოდები, გამოცდილება და მიდგომები საზოგადოებაში აქტიურად გავრცელდეს.

აუტისტი ბავშვის სწავლების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია მისი „სწავლის სტილის“ დადგენა, რომელიც გულისხმობს იმ მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა საშუალებითაც ადამაინებს შეუძლიათ გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღება. ადმაიანებმა, შეიძლება ისწავლონ დანახვით (ვიზუალურად), მოსმენით (აუდიტორულად) და შეხებით ან საგნების მანიპულირებით (კინესტეთიკურად, „ხელებით სწავლა“).

აუტისტი ბავშვები ხშირად სწავლების ერთ რომელიმე სტილს იყენებენ. ადამაინზე დაკვირვებით, შესაძლებელია, მისი სწავლის ძირითადი სტილის განსაზღვრა. მაგ. თუ აუტისტი ბავშვი ათვალიერებს სურათებიან წიგნს, უყურებს ტელევიზორს (აწეული ხმით ან ხმადაბლა), აკვირდება ხალხს და საგნებს, მისი სწავლის სტილი ვიზუალურია. თუ აუტისტი ბავშვი ბევრს ლაპარაკობს, მოსწონს როცა მას ელაპარაკებიან, უსმენს რადიოს ან მუსიკას, მისი სწავლის სტილი აუდიტორულია. ხოლო, თუ აუტისტი ბავშვი საგნებს გამუდმებით შლის ნაწილებად, აღებს და ხურავს უჯრებს და ცდილობს, ყველაფერი ხელით მოსინჯოს, ეს ნიშნავს, რომ ასეთი ბავშვი კინესტეთიკურად ანუ შეხებით სწავლობს.

მნიშვნელოვანია ბავშვის უნარი - მიიღოს და გადაამუშაოს მიწოდებული ინფორმაცია. ამაზეა დამოკიდებული ინდივიდის წარმატება და ქცევა სკოლაში. ამიტომ აუცილებელია, რომ სკოლაში ბავშვის მისვლისთანავე მასწავლებელმა გაარკვიოს და შეუფარდოს მას მისთვის საჭირო სწავლის სტილი. ასეთ შემთხვევაში აუტისტი ბავშვი მაქსიმალურ წარმატებას მიაღწევს.

აუტიზმის მქონე ბავშვების ეფექტური განათლებისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სტრუქტურირებული სწავლებისა და ინტენსიური ქცევის ტრენინგის პროგრამებში. (მაგ, Lovaas -ის პროგრამა, 1933).

Schopler-მა და მისმა ჯგუფმა შეიმუშავა სტრუქტურირებული სწავლების სისტემა TEACHH (1977). ამ პროგრამის მიზანია, აუტიზმის მქონე ბავშვის პრობლემების გათვალისწინმებითა და მის ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით, შემუშავდეს სტრუქტურირებული სასწავლო აქტივობები. ეს სისტემა ისეა მოწოდებული, რომ ბავშვს შეეძლოს მიზნის ვიზუალიზება, მოქმედებები თანმიმდევრობით იყოს დამახსოვრებული და აღდგენილი, დავალებების შინაარსი კი გამომდინარეობდეს ბავშვის სპეციფიკური ინტერესებიდან. ამ სისტემაში ერთდროულად მუშაობს ბავშვის თერაპევტია და მშობლის კონსულტანტი. თერაპევტი მუშაობს უშუალოდ ბავშვთან და ადგენს სახლში განსახორციელებელ ყოველკვირეულ პროგრამას. მშობლის კონსულტანტი მუშაობს მშობელთან, გეგმავს ბავშვის სწავლებისა და მისი ქცევის რეგულაციის სტრატეგიებს, ასწავლის მშობელს როგორ უნდა მოახდინოს ბავშვის ანომალიური ქცევის მართვა.

მშობელმა, ყოველდღე, 20 წუთის განმავლობაში უნდა განახორციელოს თერაპევტის მიერ შემუშავებული პროგრამა. ტიპური პროგრამა ოთხი ხუთი აქტივობისგან შედგებოდა, რომელიც ბავშვის მდგომარეობის შესაბამისი სირთულისაა. მშობლებს ასწავლიან თუ როგორ უნდა მოაწყონ ბავშვის სამუშაო ან სათამაშო გარემო, აცნობენ და პრაქტიკულად აჩვენებენ აქტივობებს, აძლევენ ინსტრუქციებს და ასწავლიან ხერხებს ბავშვისათვის სასურველი მოქმედების შესრულების მისაღწევად.

სხვა მეთოდს წარმოადგენს იაპონიაში ჰიგაშის სკოლის მიდგომა, რომლის ანალოგი მასაჩუსეტის შტატშიც გაკეთდა. ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ხელოვნებით სწავლასა და ფიზიკურ აღზრდაზე წახალისებას. ინდივიდუალიზებულ გეგმასთან შედარებით უპირატესობა ჯგუფში მონაწილეობას ენიჭება. ასევე, ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მეტყველების უნარის განვითარება (AAP,2007).

სწავლების კიდევ ერთი სტრატეგია - Bright start curriculum მიმართულია კოგნიტური უნარების აზროვნების მოქნილობის გაუმჯობესებაზე. სწავლების აღნიშნული გეგმა ძირითადად მიმართულია ყუარდღების, სოციალური ინტერაქციის, კომუნიკაციის და მოტივაციის გაუმჯობესებაზე.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ინკლუზიური განათლების უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასა და სოციალურ ინტეგრაციას. სკოლა უნდა ცდილობდეს, რომ ნებისმიერი მოსწავლე ჩართული იყოს სასწავლო პროცესში. აუტიზმის მქონე მოსწავლეც მისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა სწავლობდეს. აუცილებელია სკოლამ წინასწარ შეაფაოსოს მოსწავლის შესაძლებლობები, სათანადო სასწავლო მეთოდების ეფექტურობა, ინდივიდუალური მეთოდები და შესაბამისი სტრატეგიები გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის მქონე მოსწავლის სწავლება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაინც არსებობს რამდენიმე სწავლების ეფექტური სტრატეგია, რომელთა ცოდნაც დაგემხარებათ მათ სწავლებაში:

ვიზუალური დაგეგმვის სტრატეგია: როგორც წესი, აუტიზმის მქონე ბავშვები ძლერი ვიზუალიზაციის უნარით ხასიათდებიან. შესაბამისად, ასეთი ბავშვებისთვის ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება ეხმარება მათ კომუნიკაციის დამყარებაში და ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ენის განვითარებას. შესაძლებელია ბავშვებისთვის სურათების მეშვეობით ურთიერთობის სწავლება. ფოტოებით ურთიერთობის დაუფლება ეხმარება მათ თვითშეფასების ამაღლებაში, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი თავის რწმენაში. აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

ვიზუალური მასალა: აუცილებელია, რომ ბავშვს მისი ასაკის, საჭიროებების და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა მივაწოდით. სურათებით შესაძლებელია სხვადასხვა სიუჟეტებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემა, სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების აღწერა.

ეცადეთ, რომ სხვადასხვა სიტუაციაში, სკოლაში, სახლში, სტუმრად, ყოველთვის ერთიდაიგივე, თქვენს მიერ შერჩეული ფოტო გამოიყენოთ. ეს დაეხმარება ბავშვს არ დაიბნეს და განუმტკიცებს უკვე ათვისებულ ინფორმაციას. გახსოვდეთ, რომ ყველა ბავშვს სურათების შერჩევა ინდივიდუალურად ჭირდება. ვიზუალური მასალის ბავშვისთვის წარდგენა ეტაპობრივად უნდა მოხდეს: ჯერ ვაცნობთ კონკრეტული საგნის სურათს და შემდეგ სურათებით ვაწყობთ გარკვეული მოქმედების გეგმას.

სოციალური უნარების განვითარება და ურთიერთობის სწავლება: ზემოთ უკვე ვისაუბრეთ,რომ

აუტიზმის მქონე ბავშვებს ყველაზე მეტად სოციალური ურთიერთობები უჭირთ, შესაბამისად ყველა შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული რათა ბავშვებს ურთიერთობა ვასწავლოთ. რადგან მათ მკვეთარად გამოხატული მეტყველების პრობლემა აქთ, უმჯობესია სურათებით სწავლებასთან ერთად ეფექტური სტრატეგია იმიტაციაა. სხვათა იმიტაციის პროცესში ისინი სწავლობენ სოციალურ ინტერაქციას და გარკვეულ ყოფით უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად არ უყალიბდებათ.

ვერბალური ქცევის მიდგომა: მთლიანობაში ქცევის გამოყენებითი ანალიზის კვლევებს ეფუძნება, მაგრამ თავის მხვრივ განსაკუთრებულად მოქმედებს ბავშვის უნარზე, ისწავლოს ფუნქციონალური ენის გამოყენება.

ვერბალური ქცევის მიდგომა აუტიზმის სპექტრისა და განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, ქცევის გამოყენებითი ანალიზის მიდგომის საშუალებით, ასწავლის ყველა საჭირო უნარს და მათ შორის ენობრივ უნარებს. ენა განიხილება როგორც ფორმირებადი და განმტკიცებადი ქცევა და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ იმას თუ რას ამბობს ბავშვი, არამედ იმასაც, თუ რატომ იყენებს იგი ენას.

აღნიშნული მიდგომა საკმაოდ ახალი და პოპულარული მეთოდია, რომელიც პრაქტიკულად წარმოიშვა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში.

ვერბალური ქცევის მიდგომასთან დაკავშირებით ორი უდიდესი გაუგებრობა იმაში მდგომარეობს, თითქოს ეს მიდგომა მხოლოდ იმ ბავშვებისთვისაა გამოსადეგი, რომლებიც არ მეტყველებენ ან პირიქით ის მხოლოდ იმ ბავშვებს გამოადგებათ, რომლებიც უკვე მეტყველებენ.

ორივე მოსაზრება არასწორია.

ვერბალური მიდგომა არახმოვანი კომუნიკაციის მრავალ სახეობას მოიცავს, მათ შორის მითითებას, ჟესტურ ენას, წერას, ჟესტიკულირებას. იგი ტანტრუმებით კომუნიკაციასაც კი ითვალისწინებს.

ამგვარი ქცევის მიდგომა თითქმის ყოველთვის ამცირებს სხვა რთული ქცევის ფორმებს, რადგან მუშაობა იწყება იმის შეფასებით თუ რა უყვართ ბავშვებს და სწორედ ეს საყვარელი საგნები და აქტივობები გამოიყენება ბავშვების წასახალისებლად, რათა მან სწავლისთვის აუცილებელი სამუშაო ჩაატაროს. ასეთ საგნებს და აქტივობებს განმამტკიცებელი ეწოდება.

განმამტკიცებლების გამოკვეთის შემდგომ ინსტრუქტორს შეუძლია დაიწყოს სწავლება. მნიშვნელოვანია, ის ფაქტიც, რომ მასწავლებელი (ინსტრუქტორი) გარშემორტყმული იყოს იმ ნივთებით (განმამტკიცებლებით) რაც სასურველია ბავშვითვის. შედეგად მას ეს მოზრდილი წარმოუდგება, არა როგორც მასწავლებელი, რომელიც იძლევა დავალებებს, რისი კეთებაც მას არ უყვარს, არამედ ადამიანი, რომელიც კარგ რაღაცეებს გადასცემს. მიზანი ის გახლავთ, რომ ბავშვი სიხარულით გაეშუროს ინსტრუქრორისკენ და სამუშაო სივრცისკენ.

ვერბალური ქცევის მიდგომაში ბავშვი დაუყონებლივ იწყებს საგნების მიღებას და მალე გადადის საგნების მოთხოვნაზე. (ვერბალური ან ჟესტური ენით). დროთა განმავლობაში, პროგრამირების შედეგად, ბავშვი იწყებს ისეთი საგნების მოთხოვნას, რომელიც არათუ მადიდაზე არაა, არამედ არც მხედველობით არეშია და ამისთვის ხმით მეტყველებას, ჟესტურ ენას ან სურათების გამოყენებას იწყებს. მას შემდეგ, რაც ცხადი ხდება, რომ ბავშვი განმამტკიცებელზე რეაგირებს და რამდენიმე საგანს ან აქტივობას ითხოვს, იწყება მუშაობა სწავლებაზე, თუმცა ძალიან ფრთხილად.

არსებობს მითი, რომ აუტიზმის მქონე ბავშვი ვერ სწავლობს. ეს მცდარი წარმოდგენაა. სწავლა ყველა ბავშვს შეუძლია, თუმცა სხვადასხვა ტემპით და მეთოდებით. შესაძლოა, მათ უჭირდეს, მაგალითად, ირონიის გაგება, მაგრამ გაგების სტრატეგიებს თუ ვასწავლით, აუცილებლად გაიგებს მას და თანდათან თავადაც გამოიყენებს. ნამდვილად რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ შედეგს აუცილებლად მივიღებთ, ხოლო თუ მშობელი დარწმუნებული იქნება მეთოდის შედეგიანობაში, მოტივაცია აუმაღლდება და პროცესიც შედეგებზე ორიენტირებულად და, რაც მთავარია, ხალისიანად წარიმართება.
ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა. მაგალითად, არსებობს აპლიკაცია, რომლითაც აუტიზმის მქონე ბავშვებს შეიძლება ვასწავლოთ სახის გამომეტყველების ამოცნობა, ემოციების გაგება. ასეთი რესურსი დღეს უამრავია, მთავარია, ვიცოდეთ, რა გვჭირდება და როგორ ვიპოვოთ. ზოგი მათგანის ჩამოტვირთვა უფასოდაც შეიძლება.
აუტიზმის მქონე ადამიანებს მუდმივი სტიმულირება სჭირდებათ. რასაკვირველია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ბავშვები ადვილად იღლებიან და ხშირად დავასვენოთ.
აუტიზმის მქონე ბავშვს გარკვევით, ქვეტექსტის გარეშე უნდა ვესაუბროთ. მაგალითად, ვამბობთ: "როგორ ცივა ოთახში", – და ვგულისხმობთ: "თუ შეიძლება, ფანჯარა დახურე". ადამიანთა უმეტესობა მიხვდება ქვეტექსტს, მაგრამ აუტიზმის მქონე პირს შესაძლოა გაუჭირდეს მისი გაგება, დაგეთანხმოს: "კი, ნამდვილად ძალიან ცივაო", – და ამ საკითხზე საუბარი ამით დაამთავროს. ამიტომ მათ გარკვევით უნდა ველაპარაკოთ, მაგრამ, ამასთანავე, ვეცადოთ, არ მოვარიდოთ ენის სირთულეებს, მეტაფორებსაც მივაჩვიოთ. ბავშვმა თუ არ

მოისმინა, არ წაიკითხა, ვერც ვერასდროს ისწავლის. თუმცა, სირთულეები გარკვეული დოზით უნდა მივაწოდოთ და მნიშვნელობებიც ავუხსნათ.
აუტიზმის სპექტრის მქონე ბევრ პირს არ უყვარს როდესაც კითხვებს უსვამენ. რა თქმა უნდა, ამას პატივი უნდა ვცეთ, თუმცა ხელსაყრელ მომენტში უნდა ავუხსნათ, კომუნიკაციური თუ ინფორმაციის მოსაპოვებელი რა ფუნქცია აქვს კითხვის დასმას. სოციალური ნორმები და საზოგადოების მხრივ ინდივიდის მიმართ არსებული მოლოდინები უნდა დავასწავლოთ.
მოკლეთ რომ შევაჯამოთ თანაბრად მნიშვნელოვანია მშობლის, პედაგოგის და სახელმწიფოს როლი ბავშვთა განვითარებისა და რეაბილიტაციის პროცესში.
იმისთვის, რომ საუკეთესო შედეგი მიიღოთ, კარგად გაიცანით აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვი, შეისწავლეთ მისი მიდრეკილებები, ინტერესები, ეცადეთ, სტრესულ სიტუაციაში მის გვერდით იყოთ, განუმარტეთ, აუხსენით და, რაც მთავარია, აზრის, ემოციის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცით.

2.5 დაუნის სინდრომი

დაუნის სინდრომი გონებრივი ჩამორჩენილობის ფორმაა, რომელიც შერწყმულია დამახასიათებელ გარეგნობასთან. სინდროს ხშირად იმ ადამიანის სახელს არქმევენ, ვინც იგი პირველად აღწერა. ჩვენს შემთხვევაში, ეს იყო ექიმი ლანდონ დაუნი. 1899 წელს მან პირველად აღწერა ეს მახასიათებელი.

დაუნის სინდრომს ბიოლოგიური, გენეტიკური მიზეზი აქვს. ამ სინდრომის მქონე ადამიანს ზედმეტი ქრომოსომა გააჩნიათ. იგი უჯრედის ბირთვის ნაწილია, რომელიც ორგანიზმის მემკვიდრული ინფორმაციის (გენის) შემცვლელ ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს. ქრომოსომები შეიცავენ ინფორმაციებს, რომლებიც გარეგნობასა და განვითარებას განსაზღვრავს. ისინი ქმნიან ადამიანის მემკვიდრეობითობას.

ყველა ბავშვი, მათ შორის დაუნის სინდომის მქონეც, განუმეორებელი არსებაა თავისი ინდივიდუალური გარეგნობით, ტემპერემანტითა და გონებრივი უნარებით.

არსებობს სინდრომისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები, ხშირად ამის გამო დაუნის სინდრომს „მონგოლიზმსაც უწოდებენ“. 21-ე ქრომოსომა განსაზღვრავს ბავშვის გარეგნობას და განვითარებას. ამ სინდრომის მქონე მოსწავლეების ცნობა ადვილია მათთვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნების მიხედვით:

- სახის ბრტყელი პროფილი;
- დეფორმირებული ყურები;
- მოკლე ფართო ხელები;
- მოკლე კისერი;
- პატარა თავი;
- კუნთების დაბალი ტონუსი;

გამოყოფენ აგრეთვე დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ ინტელექტუალური განვითარების თავისებურებებს:

- როგორც წესი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები სხვადასხვა ხარისხის ინტელექტუალური განვითარების დარღვევით ხასიათდებიან. მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სინდრომის მქონე ბავშვების ინტელექტის განვითარების მაქსიმალური დონე, ჯანმრთელი ბავშვების 6-8 წლის ასაკის შესაბამისი რჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ინტელექტუალური შესაძლებლობებით და როგორც წესი, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კარგ შედეგებს აღწევენ სწავლაში.
- სინდრომის მქონე ბავშვების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა ყურადღების პრობლემები - კონცენტარციის დეფიციტი, გაფანტულობა. ასევე ხასიათდებიან ადვილი გადართვადობით, ანუ ნებისმიერ უმნიშვნელო მოვლენასა თუ გამღიზიანებელს შეუძლია ისინი მოწყვიტოს საქმიანობას და მთლიანად გადართოს სხვა უმნიშვნელო აქტივობაზე.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მეტყველების განვითარება წარმოადგენს. ძალიან ხშირად თან სდევს სხვადასხვა ხარისხის სმენის დარღვევები და აქედან გამომდინარე მეტყეველების განვითარების და არტიკულაციის პრობლემები.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები საკმაოდ ჯიუტები არიან და ამიტომ მათ პერიოდულად ქცევითი დარღვევები ახასიათებთ. ასევე ძალიან ხშირია ასეთ ბავშვებში დაბალი თვითშეფასების არსებობა, რაც მათი ფიზიკური მონაცემებით არის გამოწვეული და მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვის ნორმალურ ფუნქციონირებას და სწავლის მოტივაციას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ზემოთ მოყვანილი ინტელექტუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ისახება სწავლების გარკვეული სტრატეგიები, რომლებიც მაქსიმალურად პასუხობს დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს.

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ სინდრომის მქონე ბავშვითვის განათლების საუკეთესო ფორმად ინკლუზიური განათლებაა აღიარებული. კვლევებმა და გამოცდილებამ დაადასტურეს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ოპტიმალურ განათლებას იღებს, როდესაც იგი ჯანმრთელი თანატოლების გარემოცვაშია და თავს კლასის სრულუფლებიან წევრად გრძნობს. ეს ზრდის მის თვითშეფასება, უჩენს მიკუთვნებულობის განცდას, ასწავლის სოციალური ქცევის ნორმებს, ურთიერთობის სურვილი ხელს უწყობს მისი მეტყველების განვითარებას და შედეგად მისი განვითარებისთვის და ასევე განათლებისთვის ოპტიმალური პირობები იქმნება.

დამტკიცებულია, რომ დაუნის სინდრომის დიაგნოზისას, ადრეული ჩარევა და რეაბილიტაცია ძალიან კარგ შედეგს იძლევა, როგორც ინტელექტუალური ასევე ემოციური თვალსაზრისით.

- გამოიყენეთ მულტი-მოდალური მიდგომა. ასწავლეთ ბავშვს შეხებით, სმენით და მხედველობით. მაგალითად, გამოიყენეთ წიგნები, რომლებსაც სხვადასხვა სენსორული ელემენტები აქვს. ხმას გამოსცემს და სხვადასხვა ფაქტურის ტექსტილით ხასიათდება.
- გამოიყენეთ მეტი კონკრეტული მაგალითი და ყოფითი სიტუაცია სწავლებისას. ესაუბრეთ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე. თუ აუცილებლობა მოითხოვს შეანელეთ თქვენი საუბრის ტემპი.
- ყოველთვის დაყავით კონკრეტული დავალება პატარა ეტაპებად და ყოველი ეტაპის წინ უზრუნველყავით ბავშვი ახალი ინსტრუქციით. გახსოვდეთ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ძალიან კარგი, მაგრამ ხანმოკლე მეხმსიერება აქვთ.
- ყურადღების კონცენტრაციის გაზრდის მიზნით, გაკვეთილის განმავლობაში, მოსწავლეს ხშირად გაუმეორეთ ინსტრუქციები. მასალის დანაწევრება და ხშირი ინსტრუქციები გაუადვილებს მას დავალებაზე კონცენტრაციას და მასალის ათვისებას.
- ახალი მასალის ახსნისას/მიწოდებისას ეცადეთ თქვენი მეტყეველების ტემპი იყოს შენელებული, მასალა კარგად სტრუქტურირებული (მარტივიდან-რთულისკენ),ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენები და ა.შ.
- ვინაიდან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ადვილად გადაერთვებიან ნებისმიერ ხელისშემშლელ ხმაურსა თუ მოვლენაზე, სასურველია მათი სასწავლო გარემო კარგად ორგანიზებული იყოს. სინდრომის მქონე ბავშვები არ უნდა ისხდნენ ახლოს ფანჯრებთან და კარებთან ან ისეთ ადგილას საკლასო ოთახში, სადაც ხმაურის აღმოცენების ალბათობა მაღალია. უმჯობესია, მათ წინასწარ იცოდნენ ახალი გაკვეთილის გეგმა, რათა მზად იყვნენ ცვლილებებისათვის და ახალ დავალებაზე გადასვლამ არ გაუფანტოს მათ ყურადღება.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, როგორც წესი მკაფიოდ გამოხატული მეტყველების და ხშირად სმენის დარღვევები აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ბავშვისთვის ლოგოპედთან ინდივიდუალური მუშაობა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლის მიერ მკაფიო და მარტივი ინსტრუქციები ასევე გამოკითხვის ალტერნატიული ფორმები ფორმები (წერილობით, კითხვაზე მოკლე პასუხის გაცემით, სურათებზე მითითებით) ეხმარება ბავშვს აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.
- ქცევის მართვის სტრატეგიები დაუსნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის იგივეა, რაც ყველა დანარჩენი ბავშვითვის. მთავარია, რომ სასურველ ქცევას აუცილებლად მოყვეს დადებითი განმტკიცება (შექება, წახალისება, დასაჩუქრება) და ეს განმამტკიცებელი აუცილებლად უნდა იყოს ღირებული მოსწავლისთვის (4,79).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სიცოცხლის ხალნგრძლიოვობა ბოლო 30 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. კარგი სამედიცონო მზრუნველობისა და ცხოვრების ბევრად გაუმჯობესებული ხარისხის გამო, დღეს მათი სიცოხლის ხანგრძლივობა ბევრად არ განსხვავდება დანარჩენი ადამიანების სიცოცხლის მაჩვენებლისაგან და უკვე 60 წელს გადააჭარბა.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სწავლების გასაოცარი უნარი აქვთ. თუ ჩვენ მათ ხელს შევუწყობთ და სტიმულს მივცემთ, ისინი მუდმივად წინ წავლენ.გარშემომყოფების, მშობლების, მასწავლებლების და თანატოლების მხარდაჭერა დადებითად აისახება მათ სამომავლო განათლებასა და განვითარებაზე.

განვიხილოთ პტაქტიკული მაგალითი. („ინკლუზიური განათლების წარმატებული შემთხვევები“-2012 წელი)

აბსტრაქტი

სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წარმატებულ ჩართულობას განაპირობებს კეთილგანწყობილი და მომზადებული გარემო.

შემთხვევა სსმ მქონე 13 წლის მოზარდის საჯარო სკოლაში ჩართვის პროცესს აღწერს. შემთხვევაში ასახულია ის სამუშაოები, რომელიც ბავშვის საგანმანათლებლო გარემოში ჩართვის მიზნით განცორციელდა და ეფექტური სწავლის პროცესი განაპირობა.

მომართვა

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში განათლებისა სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს 13 წლის საბას დედამ მიმართა.

მშობელი ბავშვის სკოლაში ჩართვასთან დაკავშირებით დახმარებას საჭიროებდა.

ზოგადი ინფორმაცია

სამედიცინო ინფორმაცია: საბას დაუნის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს.

სოციალური ინფორმაცია: საბა დედასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა და ერთადერთი ბავშვი იყო ოჯახში.

საგანმანათლებლო ისტორია: სკოლამდელ ასაკში, დაახლოებით 3 წლის მანძილეზე, საბა საბავშვო ბაღში დადიოდა. ბაღის შემდგომ ერთი წელი -კერძო სკოლაში, ხოლო შემდგომ სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლაში გაატარა. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ერთ ერთ დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობდა, სადაც საგნობრივ სწავლებასთან ერთად თეატრალურ წრეში იყო ჩართული. ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სპორტულ დარბაზში ვარჯიშობდა.

პრობლემის განსაზღვრა: მომართვამდე მშობელს უკვე შერჩეული ქონდა ერთ ერთი საჯარო სკოლა, რომელსაც ინკლუზიური განათლების მიმართულებით გამოცდილება გააჩნდა. მშობლისთვის მნიშვნელოვანი იყო საბას კეთილგანწყობილი და სწორად მომზადებული მასწავლებლები და თანაკლასელები დახვედროდნენ და სკოლის გარემოში მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოფილიყო.

შეფასების პროცესი: შეფასება პიროვნების დონეზე საბას საჭიროებების და შესაძლებლობების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას გულისხმობდა, რომელთა გათვალისწინებით უნდა მორგებოდა სასწავლო პროგრამას.

შეფასების ძირითადი ნაწილი სახლის გარემოში განხორციელდა, რომელიც მოიცავდა მშობელი და საბას ინტერვიუს და სხვადასხვა დავალებების შესრულებას.

შეფასების შედეგი:

სფერო	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
წერა	სწორ პოზიციაში უჭირავს საწერი საშუალება;წერს თანაბარი ასოებით; შეუძლია კარნახით ნელ ტემპში სიტყვების ჩაწერა.	ახასიათებს წერის შედარებით ნელი ტემპი; წერის დროს შესაძლებელია სიტყვებში ასოების გამოტოვება.
კითხვა	ცნობს და ასახელებს ყველა ასოს;შეუძლია ახალი და რთული სიტყვებისწაკითხვა;მარტივი ტექსტის წაკითხვაც და გააზრება/	კითხულობს შედარებით ნელ ტემპში და დამარცვლით.
თხრობა	შეუძლია მარტივი ტექსტის შინაარსის გარშემო საუბარი და საკუთარი მოსაზრების გადმოცემა.	გრამატიკულად უჭირს სიტვების გამართულად წარმოთქმა.
ანგარიში	ცნობს რიცხვებს 100 ფარგლებში და შეუძლია დათვლა. დამხმარე მასალის საშუალებით 30 ფარგლებში მიმატება გამოკლება.	უჭირს ზეპირი ანგარიში. გამრავლება გაყოფის ოპერაციების შესრულება
შემეცნებითი უნარები	შეუძლია მისთვის საინტერესო აქტივობაზე ყურადღების კონცენტრირება.	საჭიროებს მრავალჯერ გამეორებას ახალი მასალის დასასწავლად. თუ აქტივობა მისთვის ნაკლებად საინტერესოა უჭირს კონცენტრირება.

ემოციური და სოციალური სფერო	ადეკვატურად გამოხატავს ემოციებს. ავლენს მოტივაციას სოციალური ურთიერთობების მიმართ. ავლენს თანამშრომლობის უნარს.	გარკვეულ სიტუაციაში შესაძლებელია უფროსის როლი მოირგოს და დირექტიულობა გამოავლინოს.
მეტყველება და კომუნიკაციის უნარი	კომუნიკაციას ამყარებს ვერბალური მეტყველების საშუალებით. მისი საუბარი გასაგებია მსმენელისთვის. კომუნიკაციისას იყენებს ჟესტებს და მიმიკებს.	აღენიშნება ბგერების გამოთქმის სირთულეები. შესაძლებელია გამოტოვის ან ჩაანაცვლოს ბგერა.
მსხვილი მოტორული უნარები	გადაადგილდება დამოუკიდებლად. უსაფრთხოდ ადის და ჩადის კიბეზე. შეუძლია გამართული პოზის შენარჩუნება მერხთან ჯდომისას.	გადაადგილდება შედარებით ნელი ტემპით და მარტივად იღლება.
ნატიფი მოტორულიუნარები	შეუძლია მცირე ზომის ნივთების დაჭერა ხელში და შენარჩუნება. წიგნის გადაფურცვლა, მაკრატლის გამოყენება და სხვა.	არ ვლინდება პრობლემები
ქცევა/ყოფაქცევა	შეუძლია გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა, ასრულებს პედაგოგის მითითებებს.	არ ვლინდება პრობლემა.

დაგეგმვა, გეგმის განხორციელება:

1) თანაკლასელების მომზადება: კლასის შერჩევის შემდეგ თანაკლასელების მომზადება და პოზიტური გარემოს შექმნა. მშობელმა მოამზადა საბას შესახებ პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, სადაც აღწერილი იყოს საბას შესრულებული როლები და მისი წარმატებული აქტივობები. პრეზენტაცია შედგა რესურს ოთახში, რომელსაც საბას თანაკლასელები და მასწავლებლები ესწრებოდა.
   ვიდეოს ნახვის შემდგომ ბავშვებმა გამოთქვეს მზაობა საბასთვის დახმარება გაეწიათ.
2) კლასის მასწავლებლის მომზადება: მასწავლებლების მომზადების მიზნით მათთან ორი შეხვედრა შედგა.

   პირველი შეხვედრის მიზანს საბას გაცნობა წარმოადგენდა. განიხილეს საბას საგანმანათლებლო საჭიროებები და ბავშვის ძლიერი მხარეები. მეორე შეხვედრის მიზანი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპების გაცნობა იყო. შეთანხმდა, რომ საბას სკოლაში ჩართვიდან 2 კვირაში, თითოეულ პედაგოს თავიანთ საგანში მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები უნდა განესაზღვრათ და ი.ს.გ დოკუმენტში გაეფორმებინათ.

3) ფიზიკური გარემოს მომზადება: იმისთვის, რომ საბას სკოლის გარემოში ორიენტაცია გაადვილებოდა, ყოველ სართულზე დაიწერა შესაბამისი ნიშნულები.
4) საბას მომზადება: სკოლაში სიარულის დაწყებამდე მას საორენტაციო შეხვედრა ჩაუტარდა. პირველი ვიზიტი, ახალი გარემოს გაცნობას და მასთან ადაპტაციას გულისხმობდა მშვიდ ვითარებაში შედგა.

ვიზიტის დროს საბა მომავალ დამრიგებელს, სპეც მასწავლებელს და ფიზიკურ გარემოს გაეცნო.

5) სასწავლო პროცესის განსაზღვრა: საბასთვის გაკვეთილზე დასწრების ინდივიდუალური განრიგი შედგა, რომელიც საწყის ეტაპზე კვირაში 3 სასწავლო დღეს მოიცავდა. ამასთანავე, დაიგეგმა რესურს ოთახში დამატებითი ინდივიდუალური სამუშაოები.

შედეგები:

- ✓ საბას საკმაოდ კეთილგანწყობილი კლასი დახვდა. პირველ ეტაპზე ისინი ეხმარებოდნენ, თუმცა ის მოკლე დროში დამოუკიდებლად ორიენტაციას მიეჩვია;
- ✓ სკოლაში ჩარიცხვიდან ერთი თვის თავზე საბასთვის ყველა საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგა.
- ✓ სასწავლო წლის განმავლობაში მშობელი აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში;
- ✓ საბამ საკმაოდ წარმატებულად დახურა სასწავლო წელი და შემდეგ კლასში გადავიდა;
- ✓ მრავალფეროვანი გამოცდილების მიუხედავად, სკოლაში ჩართვა საბასთვის ახალი გამოწვევა აღმოჩნდა. მან „სკოლის მოსწავლის“ როლი შეიძინ-ა და ასაკობრივ რუტინაში ჩაერთო.

2.6 ცერებრული დამბლა

ცერებრული დამბლის განვითარებას თავის ტვინის გარკვეული უბნების დაზიანება უდევს საფუძვლად. მისი გამოვლინებებია:

- მოძრაობის დარღვევები;
- კუნთური ტონუსის ცვლილება;
- მოძრაობის კოორდინაციის შეფერხებები;
- ჯდომის, დგომისა და სხვადასხვა პოზის დარღვევა;

არსებობს ცერებრული დამბლის, როგორც მსუბუქი ისე მძიმე ფორმები. შესაძლებელია მოძრაობები დარღვეული იყოს ძალიან მსუბუქ დონეზე, შეინიშნებოდეს მოუქნელობა, ასევე რთულ შემთხვევაში ბავშვს შესაძლოა საერთოდ უჭირდეს სხვადასხვა მოძრაობების განხორციელება.

კუნთური ტონუსის დარღვევის მიხედვით ანსხვავებენ ცერებრული დამბლის სხვადასხვა ფორმებს:

- სპასტიური - ყველაზე გავრცელებული ფორმაა. კუნთთა ტონუსი არის მაღალი, კუნთები დაჭიმული, ბავშვს უჭირს პოზის შეცვლა,რაც მოძრაობების განხორციელებას აფერხებს.

- ატონური ფორმა-სპასტიურისგან განსხვავებით, კუნთები პირიქით, მოდუნებულია, დაქვეითებულია მათი ტონუსი, ბავშვის სხეული მოშვებულია, შესაძლოა ვერ იჭერდეს თავს ან ვერ იჭერდეს სხეულს და ცურავდეს სკამზე ჯდომისას.
- ატაქსიური-გამოხატულია კოორდინაციისა და წონასწორობის დარღვევა, ბავშვი გადაადგილებისას ხშირად ვარდება, ეჯახება კედელს ან ავეჯს.
- ათეტოიდური-კუნთური ტონუსი სუსტსა და ძლიერს შორის მერყეობს, რის გამოც ბავშვებს აღენიშნებათ ხელების, ფეხების, თავის, თვალების უნებლიე მოძრაობები.

პირველი და შესამჩნევი სირთულე ფიზიკური განვითარების სფეროში შეინიშნება. მოტორული და ფიზიკური შეზღუდვის პრობლემა ჩანს უკვე ჩვილობის ასაკიდან,რადგან ცერებრული დამბლის მქონე პატარა ვერ ახრახებს დამოუკიდებლად წამოჯდომას,ხოხვას, დგომას, სხვადასხვა საგნის ხელში აღებას და დაჭერას.

კონკრეტული რჩევები დაეხმარება ბავშვებს ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას, მიუხედავად შეზღუდული მოძრაობებისა:

რეკომენდაციები:

ცერებრული დამბლის შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა ჩვილობის ასაკიდანვეა საჭირო;

- დახმარების აღმოჩენა გამოიხატება, როგორც მედიკამენტურ მკურნალობაში, ასევე ფიზიკურ თერაპიაში;
- რეკომენდებულია, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის დახმარება ითვალისწინებდეს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რაც სხვადასხვა სპეციასიტის ჩართვას და შეთანხემბულ მუშაობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში საჭირო სპეციალისტები არიან ექიმი პერიატრი, ფიზიო თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი.
- ფიზიოთერაპევტი, თქვენ, როგორც მშობელს გაგიწევთ რეკომენდაციებს, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა აჭამოთ ბავშვს, როგორ არის უმჯობესი, რომ აიყვანოთ ხელში. ასევე ბავშვს, მასთან პრაქტიკული მუშაობით, ასწავლის დგომას, ჯდომას, კიბეზე ასვლას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოარგებს მას ეტლს, სკამს ან სხვა.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში ხშირია მეტყველების დარღვევები,რაც გამოიხატება ბგერებისა და სიტყვების გამოთქმის სირთულეში. კუნთები სახეზე, ტუჩებზე და ენაზე შესაძლოა იყოს მოდუნებული ან დაჭიმული, შესაბამისად მოძრაობები შეზღუდულია.

ბავშვის მეტყველება შესაძლოა იყოს ნელი, ძნელად გასაგები, წყვეტილი.

რეკომენდაციები:

- იმუშევეთ იმ მიმართულებით, რომ ბავშვმა გაიფართოვოს ლექსიკური მარაგი, ამისთვის გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა, ასწავლეთ თვალსაჩინო მასალის კატეგორიებად დაჯგუფება: ხილი, ცხოველები და ა.შ.
- თუ თქვენი ბავშვი ნელა საუბრობს, გამოიჩინეთ მოთმინება მოუსმუნეთ ბოლომდე, სანამ დაასრულებს სათქმელს.

- მისი სკოლის პედაგოგებთან ერთად შეთანხმდით დავალებების ჩაბარების მეთოდზე. პედაგოგმა არ უნდა აიძულოს მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვი, რომ მან მთელი კლასის წინაშე მოყვეს გაკვეთილი;
- ჩართეთ მეტყველების თერაპევტი, რომელიც ინდივიდუალურად იმუშავებს ბავშვთან.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ემოციური სფეროს პრობლემებიც. ხშირია სხვადასხვა სახის შიშები, ემოციური არამდგრადობა, გუნება-განწყობის სწრაფი ცვლილებები. ამას ემატება საკუთარი უსუსურობის და გარიყულობის განცდა, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ემოციურ მდგომარეობას.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლება დიდ მოთმინებას, ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. ვინაიდან ფორმები და სიმძიმის ხარისხი განსხვავდება ერთმანეთისგან, რთულია ერთნაირი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა ბავშვებისთვის. როგორც წესი, მათი სწავლება ინდივიდუალურ მიდგომას და სასწავლო გეგმას გულისხმობს სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის პროგრამებთან ერთად.

სწავლება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს ბავშვის აქტუალური შესაძლებლობების განვითარებასა და პოზიტიურ ცვლილებზე და არა ცერბრული დამბლით გამოწვეული დარღვევების შესუსტებაზე. მაგ. მასწავლებელმა უმჯობესია წაახალისოს მოსწავლის მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობაში, რომელიც ორივე ხელის გამოყენებას მოითხოვს, ვიდრე სულ დაზიანებული ხელის გავარჯიშებაზე იყოს ფოკუსირებული.

როგორც ყველა ბავშვი, ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებიც განსხვავდებიან გონებრივი შესაძლებლობებით. ზოგიერთი მათგანი არანაირ დაბრკოლებას არ განიცდის სწავლის პროცესში და თანატოლებთან ურთიერთობაში, ზოგი კი სხვადასხვა ხარისხის გონებრივი განვითარების შეფერხებისა და სწავლის სირთულეებით ხასიათდება.

რეკომნდაციები მასწავლებლებისთვის:

- დავალებები შერჩეული უნდა იყოს იმ რაოდენობითა და სირთულით, რაც დაძლევადი იქნება ბავშვის მხრიდან.
- ბავშვი არ უნდა ვაიძულოთ, რომ მან წეროს მაინდამაინც რომელიმე კონკრეტულ რვეულში, ვთქვათ პირველკლასელთა ბადეში ან უჯრიანში. ჩვენ, უნდა შევურჩიოთ ისეთი რვეული, რომელში გაუადვილდება მუშაობა, თუნდაც ეს იყოს თაბახის ფურცელი.
- შესაძლებელია კალმები და ფანქრები იყოს ჩვეულებრივზე მსხვილტარიანი, რათა ბავშვმა ადვილად დაიჭიროს ხელში ისინი.
- მნიშვნელოვანია მოტივაციის ფაქტორი, ბავშვს უნდა გავუღვივოთ ინტერესი, დავანახოთ საკუთარი წარმატება.
- თუ დასწავლის პროცესი ძალიან გახანგრძლივდა და შედეგი აგვიანებს, პრობლემის მიზეზი ორგან უნდა ვეძიოთ: შესაძლოა, სწავლის მეთოდი არის ბავშვის შესაძლებლობების არაადეკვატური,ან რესურსებია არაეფექტური. მაგალითად, მათემატიკა არ ისწავლება მხოლოდ უჯრიან რვეულში გამოწერით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა რესურსები: პლასტენინით ციფრების ძერწვა, ფაზლები და სხვა.

- გახსოვდეთ, რომ სპეციალური საჭიროების მაქონე ბავშვთა სწავლება მასწავლებლებისგან შემოქმედებითი უნარების გამომჟღავნებას საჭიროებს.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ გარემოს:

- დარწმუნდით, რომ საკლასო ოთახი ისეა მოწყობილი, რომ მასში ეტლით ან ყავარჯნებით გადაადგილება არ წარმოადგენს სირთულეს;
- შეეცადეთ ბავშვის მერხზე იყოს სპეციალური საფარი ან ნებისმიერი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს, ფურცლის, რვეულის დაფიქსირებას, ისე რომ ბავშვს არ დაჭირდეს მისი მოერე ხელით დაჭერა;
- შეეცადეთ საკლასო ოთახში ან დერეფანში დაამაგროთ მოაჯირები, რაც ცერებრული დამბლის მქონე ბავშვითვის დამატებითი დახმარება იქნება;
- შესაძლოა ასეთ ბავშვს გაცილებით მეტი დრო დაჭირდეს კლასში შემოსასვლელად და გაკვეთილისთვის მოზამზადებლად;
- აუცილებლად გაარკვიეთ მშობელთან ხომარ აქვს ბავშვს სმენის დარღვევა ან გულყრები. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ სწორად შეარჩიოთ ბავშვისთვის ოპტიმალური სწავლების სტრატეგია თუ როგორ უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს გულყრა დაემართა.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელია აკადემიური ასპექტები:

- შეეცადეთ ბავშვი დასვათ წინა მერხზე, თქვენთან და დაფასთან ახლოს, რაც გაუადვილებს მას მოსმენას და დაფიდან დავალებების გადმოწერას;
- ყოველთვის მიეცით დამატებითი დროს წერითი დავალებების შესასრულებლად;
- მიეცით მას უფლება, თუ კი აქვს სურვილი დიკტოფონზე ჩაიწეროს გაკვეთილი. ეს მას დაეხმარება უკეთ გაერკვეს ახლად მიწოდებულ მასალაში;
- ამუშავეთ მცირე ჯგუფებში. ეს დაეხმარება ყურადღების კონცენტრაციასა და მოსმენის უნარის განვითარებაში;
- დაეხმარეთ საშინაო დავალების ჩანიშვნაში და ორგანიზებაში.
- ბავშვი არ უნდა მოვარიდოთ ეზოში ჩაყვანას, გასეირნებას, სტუმრად წაყვანას. ის მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში და უნდა ქონდეს სოციალური ურთიერთობების მრავალფეროვანი საშუალება.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ინკლუზიური განათლების წარმატებული პრაქტიკული მაგალითი:

აბსტრაქტი

შეთხვევა აღწერს საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლის წერასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის გზებს მასზე ცენტრირებული მიდგომით. აღნიშნული მიდგომა ბავშვთან მუშაობის სპეციფიკურ სტრატეგიებს გვთავაზობს და პრობლემის დაძლევის პროცესში მის აქტიურ მონაწილეობაზე აკეთებს აქცენტს. შემთხვევაში ასევე წარმოდგენილია მოსწავლის საჭიროებების საპასუხოდ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციები.

მომართვა

მომართვა 10 წლის დათოს სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ოკუპაციურ თერაპევტთან თბილისის ერთ ერთი საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგი მოვიდა.

ზოგადი ინფორმაცია

პირველ ეტაპზე გუნდის წევრის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ინფორმაციის მიღება მოსწავლის სამედიცინო მდგომარეობის, საგანმანათლებლო და სოციალური ისტორიის შესახებ.

სამედიცინო ინფორმაცია: დათოს ბავშვთა ცერებრალული დამბლის დიაგნოზი აქვს დასმული. მოიხმარს ეტლს.

საგანმანათლებლო ისტორია: ამჯამად დათო მე-4 კლასის მოსწავლეა, 7 წლის ასაკიდან სახლთან ახლოს მდებარე ერთ ერთ საჯარო სკოლაში სწავლობს, რომელსაც ინკლუზიური განათლების მიმართულებით რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. სკოლაში ფუნცქიონირებს-რესურს ოთახი, მუშაობს სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

სოციალური ინფორმაცია: დათო ერთადერთი შვილია ოჯახში, გამომდინარე იქედან, რომ მშობლებს გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, მასზე ზრუნავს ძიძა. სკოლაში ყოფნის დროს ძიძა დათოს დერეფანში ელოდება და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება გარკვეული აქტივობების შესრულებაში.

პრობლემის განსაზღვრა:

სპეციალური პედაგოგის გადმოცემით, დათო თანაკლასელების მსგავსად ასრულებს ზეპირ დავალებებს, თუმცა ავლენს გარკვეულ სირთულეებს წერითი დავალებების დროს. დათოს წერის გაუმჯობესება მშობლის და პედაგოგის პრიორიტეტს წარმოადგენს.

შეფასების პროცესი

სკოლის სპეციალურ პედაგოგთან გასაუბრების შემდეგ, რომელმაც ბავშვის წერის უნარის შეფასების საკუთარი მონაცემები წარმოადგინა, შედგა ინტერვიუ დათოს ძიძასთან, წშობლიური ენის მასწავლებელთან და თავად ბავშვთან.

ინტერვიუს შემდგომ მოხდა დათოს წერის პროცესებზე დაკვირვება, გაანალიზდა მისი ხელწერა და შეფასდა წერის შემადგენელი კომპონენტები.

წერის შემადგენელი კომპონენტის შეფასება

შენიშვნა: მოცემულ კომპონენტში არ შედის ნაწერის შინაარსობრივი გამართულობა და გრამატიკული მხარე.

- მერხთან განთავსება/ჯდომის პოზა;
- პოზის კონტროლი წერის დროს;
- ფურცლების განთავსება სწორ ზედაპირზე;
- საწერი საშუალების ხელში წერის პოზა;
- წერის ტემპი;
- წამყვან ხელში ფიზიკური გამძლეობა;
- წერისას ხელის მოძრაობისთვის მზერის გაყოლება;
- წერის მიმართულების დაცვა;
- ხელნაწერის ხარისხი/ნაწერის სიცხადე;

- ასოს მოყვანილობა;(მაგ. მრგვალი, წახნაგოვანი)
- ასოებსა და სიტყვებს შორის სივრცითი მოთხოვნების დაცვა;
- ასოს განთავსება ხაზზე, რეგისტრის დაცვა;
- აოსოს ზომის მუდმივობა;

გასათვალისწინებელი ფაქტორები:

- ფურცლის ტიპი; (მაგ, თხელი, უჯრებიანი, ცალხაზიანი და ა.შ)
- საწერი საშუალების ტიპი (ღერძის სისქე, წვერის სისქე და ა.შ)

გავლენის მქონე სხვა ფაქტორები

- წერისადმი მოტივაცია;
- დავალებაზე კონცენტრაცია;
- აქტივობის მიმართ ტოლერანტობა;
- მოქმედების დაგეგმვა;
- თვითშეფასება;
- დროის კონტროლი.

შეფასების შედეგები

შეფასების შემდეგ მულტიდისციპლინური გუნდის წევრებმა შეაჯამეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.

სუსტი მხარეები	ძლიერი მხარეები
• სიტყვებს შორის არ ტოვებს სივრცეს; • ახალი ხაზის დაწყებისას არ იცავს მინდოორს; • ასოები ყოველთვის არ არის ხაზთან შეხებაში; • ციფრის უჯრაში ჩაწერისას სცილდება საზღვრებს; • წერის ტემპი თანატოლებთან შედარებით ნელია, ადვილად ეღლება ხელი; • ჯდომის პოზა წერის დროს არ არის გამართული, პერიოდულად იხრება წინ და მარცხნივ, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ნაწერზე; • მაჯაში აკლია სტაბილურობა,რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საწერი საშუალების გამოყენებაზე და ასოების მოყვანილობასა და ნაწერის მკაფიობაზე; • მარცხნივ ხელი არ ასრულებს დამხმარე ფუნქციას; • წერის დროს დათოს უჭირს ფურცლის სტაბილიზაცია.	• ნაწერი გაირჩევა და იკითხება; • საწერი საშუალება სწორ პოზიციაში უჭირავს; • შეუძლია დაახლოებით 6-7 წინადადების დაწერა დაღლის გარეშე; • შეუძლია კარნახით წერა; • შეუძლია აზრის გადმოცემა მარტივი წინადადებებით; • უშეცდომოდ წერს სიტყვებს; • იცის, თუ როგორია ხაზზე ასოების სწორი განტავსება; • მითითების შემთხვევაში შეუძლია დაშვებული შეცდომების შემჩნევა,ვერბალიზაცია და გამოსწორება; • ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნაზე; • აქვს კარგი კომუნიკაციური უნარები; • აქვს წერასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის მოტივაცია;
ბარიერები	**რესურსები**
• კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მშობლიური ენის მასწავლებელს გაკვეთილზე დათოსთან ინდივიდუალური მუშაობისთვის ცოტა დრო რჩება.	• სკოლას ჰყავს სპეციალური პედაგოგი,რომელსაც შეუძლია დათოსთან ინდივიდუალური სამუშაოს ჩატერება, როგორც რესურს-ოთახში, აგრეთვე კლასის გარემოში; • სკოლაში არის რესურს ოთახი, სადაც შესაძლებელია დათოსთან ინდივიდუალური სამუშაობეის ჩატარება; • კლასის პედაგოგი მზადაა გათვალისწინოს სპეციალისტის რეკომნედაციები და ჩაერთოს დათოს წერის უნარის გაუმჯობესების პროცესში.

დაგეგმვა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გუნდის შეხვედრა

შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების, მათთან დაკავშირებული რეკომნდაციების გაზიარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შედგა შეხვედრა განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ოკუპაციური თერაპევტის, სკოლის სპეციალური პედაგოგის, კლასის პედაგოგის, თავად ბავშვისა და მისი ძიძის მონაწილეობით.

გუნდის წევრებმა დათოს სამუშაო სტრატეგია გაუზიარეს, რომელიც ბავშვის აქტიურობას და თანამშრომლობის პრინციპს ეფუძნება. აღნიშნული მიოდგომის თანახმად, მოტორული ამოცანის შესრულებისთვის დათომ თვითინსტუქტირებას და საკუთარ ქმედებაზე რეფლექსიას უნდა მიმართოს. მულტიდისციპლინური გუნდის წევრმა აღნიშნული მიდგომა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შეარჩია:

- ✓ ბავშვის მოტივაცია, გაიუმჯობესოს წერის უნარი და თანამშრომლობის სურვილი;
- ✓ შესაბამისი კომუნიკაციური უნარები, რაც მასწავლებელთან ურთიერთობის, სხვისი მეტყველების გაგებისა და სტრატეგიების ვერბალიზაციის შესაძლებლობას მისცემდა;
- ✓ შესაბამისი შემეცნებითი უნარები, რაც ბავშვს მოცემული სტრატეგიების ირვლივ მასწავლებლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას მისცემდა.

პირველ ეტაპზე დათოსთან მუშაობა ინდივიდუალურ ფორმატში დაიგეგმა:

კვირაში 3 დღე 20 წუთის განმავლობაში რესურს-ოთახში მასთან მონაცვლეობით სპეციალური მასწავლებელი და საგნის პედაგოგი იმუშავებდა. დაიგეგმა 10 ინდივიდუალური შეხვედრა.

ინდივიდუალური მეცადინეობისას დათოს საკუთარ ნაწერზე დამოუკიდებლად მონიტორინგის წარმოება უნდა ესწავლა.

თვითმონიტორინგის ფორმატში ასახული იყო:

- ✓ სამუშაო მიზანი;
- ✓ გეგმა (ყველა ის საკითხი, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მომხდარიყო წერისას);
- ✓ შესრულება;
- ✓ რეფლექსიის კითხვები (რომლითაც დათოს უნდა გადაემოწმებინა ნაწერის ხარისხი)

თვითმონიტორინგის ფორმის მაგალითი

სამუშაო მიზანი: დათო ერთ თვეში შეძლებს გაუმჯობესებული ხარისხით, სულ მცირე 10 ხაზის მოცულობის წერილობითი ნაშრომის შექმნას დაღლის გარეშე.

ნაშრომის ხარისხის ინდიკატორები:

- მრგვალი მოხაზულობის ასოების გამოყენება;
- ასოების ხაზზე სწორად განთავსება;
- სიტყვებს შორის შესაბამისი სივრცის დაცვა;
- მინდვრის დაცვა;

გეგმა (წერის დროს გასათვალისწინებელი საკითხები)

- ტანი მაგიდასთან გამართულია -ფეხები ეყრდნობა იატაკს, ზურგი გამართულია, იდაყვები მაგიდაზეა განთავსებული;
- მარცხენა ხელი დევს ფირცელზე და აფიქსირებს ფურცელს;
- ყოველი სიტყვის დასრულების მერე ფურცელზე თავსდება კალამი და იწერება შემდეგი სიტყვა;
- ახალი ხაზიდან წერისას ყველა სიტყვა წითელ ველთან ახლოს იწერება;
- ყველა ასო ხაზთან შეხებაშია;
- ასოს შემოხაზვისას ბოლოები მრგვალდება;
  შესრულება (მოსწავლე ასრულებს წერით დავალებას)

რეფლექსიის კითხვები

- გამართულად ვზივარ მაგიდასთან?
- ჩემი მარცხენა ხელი ფურცელზე დევს?
- ყველა ასო შეხებაშია ხაზთან?
- სიტყვებს შორის დატოვებულია მანძილი?
- ახალი ხაზის დაწყებისას სიტყვა მინდორთან ახლოს წერია?
- ყველა ასო მომრგვალებულია?

მოცემული მასალა დათოს წარედგინა და განემარტა მონიტორინგის ფორმის გამოყენების პრინციპები.

წერის უნარების გაუმჯობესებისთვის დამატებით შეირჩა შემდეგი სტრატეგიები:

დაშვებული შეცდომების გააზრება:

- ინდივიდუალური მუშაობისას მასწავლებელი ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ ამოცანაზე იყო ორიენტირებული.
- შეცდომების პირდაპირ შესწორების ნაცვლად მასწავლებელი დათოს შეცდომასთან დაკავშირებულ კითხვას უსვამდა;
- საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი შეცდომებს თვალსაჩინოდ წარუდგენდა;

ხელშეწყობის პინციპები:

- მასწავლებელი ცდილობდა, სწავლის პროცესი მოსწავლისთვის სახალისო ყოფილიყო;
- მასწავლებელი მიმართავდა დადებით განმტკიცებას ხარისხიანი ან მონდომებული შესრულების წახალისების მიზნით;
- მასწავლებლის მხრიდან ძირითადი აქცენტი დათოს მიერ მონიტორინგის ფორმის დამოუკიდებლად გამოყენებაზე კეთდებოდა;

დახმარების სტრატეგიები:

- საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დათოს ფიზიკურ დახმარებას ახორციელებდა;
- საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი დამატებით ახსნის მეთოდებს იყენებდა;
- მუშაობისას გამოიყენებოდა მოდიფიცირებული მასალა, დიდი ზომის უჯრებიანი რვეული, სპეციალური კალამი და ა.შ
- წერის დროს დათო ცდილობდა თავად ეკონტროლებინდა პროცესი. ხმამაღლა ახდენდა საკუთარი თავის ინსტრუქტირებას.

პოზის კონტროლი: წერითი აქტივობის დაწყებამდე ყურადღება ექცეოდა დათოს ჯდომის პოზას. ეს მდგომარეობა დათოს პოზას უფრო სტაბულურს და სიმეტრიულს ხდიდა.

საწერი საშუალება: დათოსთვის შეირჩა საშუალო სისქის, კომფორტული კალამი.

საწერი ფურცელი: ვარჯიში სპეციალურად შერჩეულ ადაპტურ ფურცლის გამოყენებით მოხდა;

სიტყვებს შორის სივრცის დატოვება: წერის დროს სიტყვებს შორის მანძილის დასატოვებლად დათომ შემდეგი სტრატეგია დაისწავლა - ყოველი სიტყვის დაწერის შემდეგ ფურცელზე საკუთარ თითს ან კალამს დებდა. გარკვეული პერიოდის შემდგომ კი ამ ყველაფერს წარმოსახვით ასრულებდა;

ველის დაცვა: საწტის ეტაპზე დათო წერისას მარცხენა მხარეს მკაფიო, წითელი ფერის ვერტიკალურხაზიან ფურცელს იყენებდა. ვერტიკალურ ხაზთან ისარი იყო მოთავსებული, რაც დათოს ყურადღებას იქცევდა და მინდვრის დასაცავად სასიგნალო ფუნქციას ასრულებდა. დროთა განმავლობაში ეს მიდგომა გაუქმდა.

დავალების მოდიფიცირება: საკლასო სამუშაოს შესრულების დროს დათოს დამატებითი დრო ეძლეოდა. ყოველი 4-5 წინადადების შემდეგ ბავშვი ხელს ასვენებდა , გაკვეთილზე შესრულებული ნაწერის საერთო რაოდენობა კი 10 ხაზს არ არემატებოდა.

თვითმონიტორინგის ხელშეწყობა: პედაგოგების ხელშეწყობით, ბავშვი ყოველ ჯერზე საკუთარ ნაწერზე რეფლექსიას ახდენდა. თვითმონიტორინგის წარმოება თვითრეფლექსიის ფორმის მიხედვით ხდებოდა და იმ კომპონენტებს ითვალისწინებდა, რომლებიც წერისას გამოსწორებას საჭიროებდა.

შედეგების გადაფასება

დათოსთან მუშაობის დაწყებიდან 4 თვის შემდეგ მიღებული შედეგები განიხილეს. თავად დათომ პროგრესი ცალკეული პრობლემური ასპექტის მიხედვით შეაფასა და კმაყოფილი დარჩა.

მუშაობის დასასრულს დათო სპეციალური სერტიფიკატით დაჯილდოვდა, რაც მის მიერ გაწეული ძალისხმევის დაფასებას და მიღებული შედეგების განმტკიცებას ემსახურებოდა.

შეჯამება/რეკომენდაცია

შემთხვევაში წარმოდგენილი, მოსწავლეზე ცენტრირებული მიდგომა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.

აღნიშნული მიდგომა, შესაძლებელია სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში ზემოთ წარმოდგენილი წინაპირობის გათვალისწინებით იქნას გამოყენებული.

თავი III. სწავლის უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები.

3.1 ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშემწყობი საშუალებები;

ბევრი სკოლა მუშაობს იმისთვის, რომ გახდეს „სწავლისადმი კეთილგანწყობილი“, სადაც ყველა ბავშვს მიეცემა საშუალება უსაფრთხო და დადებით გარემოში მიიღოს მაქსიმალურად კარგი განათლება. მთავარ მიზანს წარმოადგენს არა კონკრეტულ საგნებსა და გამოცდებზე კონცენტრირება, არადმედ სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის გაუმჯობესება, ნებისმიერი მოსწავლისთვის განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა სასკოლო საქმიანობაში.

ნებისმიერი მასწავლებლის მიზანია ბავშვის სასწავლო მიღწევებისა და წარმატებების უზრუნველყოფა, მაგრამ მოლოდინები და მოსწავლის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ყოველი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ მის შესაძლებლობებს, უნარებსა და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს. თუმცა, მიუხედავად მათ შორის ინდივიდუალური განსხვავებებისა არსებობს მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა ეს არის მოსწავლის თვით შეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური სწავისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვები ხდებიან მეტად თავდაჯერებული, უნვითარდებათ მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ დამოუკიდებლობას როგორც სკოლის შენობაში, ასევე მის გარეთ. მაგალითად, სწავლობენ მკაფიოდ ჩამოყალიბებული კითხვების დასმას, სკოლაში მიღებულ ცოდნას იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ადვილად ადაპტირდებიან სხვადასხვა გარემოში.

მნიშვნელოვან უპირატესობებს ანიჭებს მასწავლებლებსაც ინკლუზიური გარემო. სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეებთან მუშაობისას, ისინი იძენენ ახლა ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მათ ზოგადად ბავშვებთან მუშაობასა და სხვადასხვა სიტუაციების მართვას უადვილებს.

მასწავლებლებს ეძლევათ ახალი იდეების შესწავლის მეტი საშუალება როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ. ასეთი იდეების გამოყენებით მათ შეუძლიათ მოსწავლეთა დაინტერესება და წახალისება. შედეგად, მეტია უკუგება ბავშვებისა და მისი მშობლებისგანაც კი.

პედაგოგები განიცდიან მეტ კმაყოფილებას, როდესაც ყველა ბავშვი მაქსიმალურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და ავლენს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს. თუმცა, როდესაც ამას ვამბობთ არ ვგულისხმობთ, რომ ერთნაირად კარგი შედეგით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ეს ნიშნავს, რომ ვიღებთ იმ განსხვავებულობას, რომელიც მოსწავლეების შესაძლებლობებში არსებობს; თუ როგორ და რამდენად შეუძლიათ მათ საკუთარი მოსაზრებების მასწავლებლებისა და კლასისათვის გაზიარება.

სკოლაში, სადაც ინკუზიური მიდგომებისადმი დადებითი განწყობაა, ყოველთვის მეტი მოხალისე მუშაობს, რაც ამსუბუქებს მასწავლებლის საკმაოდ მძიმე სამუშაოს.

რაც შეეხება მშობლების როლსა და ჩართულობას, არაერთხელ ვახსენეთ, რომ ძალზე მნშვნელოვანია. იღებენ მეტ ინფორმაცია საკუთარი შვილების განათლების შესახებ. ისინი პიროვნულად ხდებიან ჩართული პროცესში და გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას. როდესაც მასწავლებელი ეკითხება აზრს მათივე შვილის განათლების შესახებ, ისინი სწავლების პროცესში მონაწილე თანასწორუფლებიან პარტნიორებად გრძნობენ თავს და სწავლობენ სახლში იმ ხერხების გამოყენებას, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. აქვთ მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ეხმარებიან სხვებსაც ანალოგიური პრობლემების გადაჭრაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლისა და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. სკოლა, მოსწავლეების მიღებისას, არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ ბავშვის ფსიფიქური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება. ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთა.
- სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლას ინკლუზიური განათლების კოორდინატორით. ის შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. კორდინატორის ფუნქციაა თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, მათი სასწავლო პროცესში და მთლიან სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ხარისხს. წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი კოორდინატორთან შეხვედრის დღეები კვირის განმავლობაში.
- სკოლა, რომელსაც ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვროს: მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, ბავშვითვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შეზღუდული სასწავლო გარემო.

სკოლამ სისტემატიურად უნდა მოახდინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური შეფასება. ასეთი შეფასების პრინციპებია:

1) თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება.
2) თუ მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

გათვალისწინებუილ მიზნებს და ამოცანებს, რომლის ფარგლებშიც შეფასება ჩვეულებრივი ათ ქულიანი სისტემით ფასდება. აუცილებელია ბავშვი ქულებთან ერთად იღებდეს კომენტარს (ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განმავითარებელი შეფასების ტიპიური ფორმა) ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა.

3) თუ მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში,მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კონკრეტულ მიმართულებაში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად ქართულსა და ისტორიაში სტანდარტული შეფასება ეწერება, ხოლო მათემატიკაში ნიშანი და შესაბამისი კომენტარი.
4) 7-18 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში მიღება და შესაბამისი სწავლის საფეხურის შერჩევა ხდება მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკისა და საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად. სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკს და მისთვის შერჩეული სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია 10 წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად, ან 14-15 წლის მოსწავლე III ან IV კლასელებთან ერთად. მაქსიმალურად დასაშვები განსხვავებაა 3 წელი.
5) სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწყოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა გაყიდვა, საქველმოქმედო კონცერტები, რომლის შემოსავლებით მოსწავლეები თავიანთ მეგობრებთან ერთად დაეხმარებიან მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას. მათი მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან განათლების პროცეში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანყობის ატმოსფერო სუფევს.

3.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

დღეს გავნითარებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტად ექცევა ყურადღება მოსწავლეთა ინდივიდუალურ უნარებს და პოპულარული ხდება სწავლების ის მეთოდები, რომელიც ინდივიდის საჭიროებებზეა ფოკუსირებული.

სხვადასხვა ქვეყნებში აქტიურად დაიწყო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და ამის ფონზე გამოიკვეთა ეროვნული სასწავლო გეგმის გვერდით ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის (ი.ს.გ) არსებობის აუცილებლობა. ი.ს.გ კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, მუშავდება განათლების ისეთი პროგრამა, რომელიც ყველაზე მეტად ადეკვატურია კონკრეტული მოსწავლისათვის. ასეთი სახის პროგრამა საუკეთესო გზაა, ერთი მხვრივ უმტკივნეულოდ ჩავრთოთ ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში და მეორე მხვრივ, დავიცვათ შეუსაბამო მოლოდინებისაგან, რომლებიც ხშირად გააჩნიათ როგორც მშობლებს, ასევე სკოლასა და მასწავლებლებს კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით.

ი.ს.გ საშუალებას იძლევა:

1) ზუსტად შევაფასოთ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და საჭიროებები. შევადგინოთ ბავშვის უნარების ადეკვატური გეგმა (პროგრამა) და გავანაწილოთ როლები და პასუხისმგებლობა კონკრეტული მიზნების მისაღწევად;
2) ჩავრთოთ მოსწავლის სწავლების პროცესის დაგეგმვაში მშობლები თუ სხვა პასუხისმგებელი პირები და მათთან ერთად გადავწყვიტოთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ბავშვისთვის.
3) სისტემატურად გადავამოწმოთ, ჩვენ მიერ შემუშავებულ პროგრამას მივყავართ თუ არა დასახული მიზნებისკენ და საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად განვახორციელოთ ცვლილებები.

ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, ახალი ზელანდია, კანადა, ინგლისი) მიღებულია სპეციალური კანონი, რომელიც სკოლას ავალდებულებს, აწარმოოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. ამ კანონით რეგულირდება ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნის განსაზღვრა, მისი სწავლებისთვის საჭირო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პროცედურები.

ინდივიდუალური საგანმანთლებლო, ანუ სასწავლო პროგრამა, როგორც წერილობითი დოკუმენტი, შედგება 7 კომპონენტისაგან:

1. ინფორმაცია მოსწავლის შესახებ;
2. მოსწავლის ფუნქციონირების დონე, რაც აისახება მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერაში;
3. სასწავლო მიზნები;
4. მისაღწევი შედეგები;
5. სწავლების მეთოდები, სტრატეგიები და მასალები;
6. გუნდის წევრების ვინაობა და სპეციალობა;
7. შეფასების გეგმა და განრიგი.

ი.ს.გ გამიზნულია იმისთვის, რომ დაეხმაროს: მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს შედეგიანი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში; სამეურვეო საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციას, გაარკვიოს, თუ რა არის მათი პასუხისმგებლობა კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით; მშობლებს, მიიღონ არა მხოლოდ ინფორმაცია ბავშვისთვის შექმნილი პროგრამის შესახებ, არამედ აქტიური მონაწილეობაც საკუთარი შვილის სასწავლო მიზნების დასახვაში.

ამრიგად, ი.ს.გ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროდუქტი, რომელიც მიიღება ინდივიდუალური სწავლების დაგეგმვის აქტიური და ცოცხალი პროცესის შედეგად.

ი.ს.გ-ს ძირითადი ქვაკუთხედი ბავშვის სასწავლო საჭიროებებია. დაგეგმვის შედეგად შესაძლებელი ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება და მორგება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად.

მოსწავლეს სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციის შედეგად გამოიკვეთება სასწავლო გეგმიდან რა და რამდენად ინტენსიურად საჭიროებს მოდიფიცირებას და ადაპტირებას.

შესაბამისად, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცესი ეხმარება პროფესიონალებს:

- ბავშვის სუსტი და ძლერი მხარეების დადგენაში;
- სხვადასხვა გარემოში ბავშვის ქცევისა და სწავლის თავისებურებების შესახებ დაკვირვებებისა და ინფორმაციის მოგროვებაში;
- ბავშვის ფუნცქციონირების მიმდინარე დონის განსაზღვრაში;
- ეროვნული სასწავლო გეგმიდან იმ პრიორიტეტების გამოყოფაში, რომლებიც საჭიროებს ინდივიდუალურ გეგმას;
- მოსწავლის სასწავლო მიღწევების მონიტორინგსა და მისი პროგრესის შესახებ ანგარისშგებაში;
- სასწავლო მიზნებსა და შედეგებთან დაკავშირებით მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციაში;
- ბავშვის სასწავლო მიზნების მისაღწევად საკლასო და კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვაში.

ი.ს.გ ოჯახთან ურთიერთობის ფორმებსაც გვთავაზობს, რაც გულისხმობს მშობლის უშუალო მონაწილეობას სასწავლო მიზნების განსაზღვრასა და სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში. ასევე, ოჯახის წევრების წევრების მოვალეობებს ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კლასგარეშე განხორციელებაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესი ეხმარება მშობელს:

- გაუზიარონ პროფესიონალებს ბავშვის სასწავლო მიზნებისა და პროგრამის შესახებ საკუთარი აზრი;
- გაიგონ, გაიზიარონ და მხარი დაუჭირონ ბავშვის სასწავლო მიზნების, სპეციფიკური სასწავლო სტრატეგიების და შეფასების პროცედურების დაგეგმვას;
- დასვან კითხვები და იმსჯელონ ბავშვის სწავლებისა და საგანმანათლებლო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ი.ს.გ წარმატებულია ბავშვის სწავლებისთვის თუ:

- ✓ ი.ს.გ. დოკუმენტი ყოველდღიურ საკლასო-სასწავლო პროცესს ითვალისწინებს;
- ✓ ი.ს.გ. გუნდის წევრებს აქვთ ბავშვის შეფასების შესაძლებლობა ექსპერტიზის სფეროების მიხედვით;
- ✓ ზუსტად არის განსაზღვრული ის პასუხისმგებელი პირი, ვინც ასწავლის ბავშვს ზოგადსაგანმანათლებლო თუ სარესურსო ოთახში;
- ✓ ი.ს.გ.-ს შემუშავებისა და შესწორების პროცესში აქტიურად არის ჩართული მშობელი;
- ✓ ბავშვის სასწავლო მიზნებისა თუ სწავლების დაგეგმვაში ინტენსიურად მონაწილეობენ სხვა სპეციალისტები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება გუნდური პროცესია. შეხვედრებს, რომლებიც ი.ს.გ-ს შესადგენად იმართება, მონაწილეობს ყველა ის ადამიანი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ან ურთიერთობს ბავშვთან. ესენი შეიძლება იყვნენ:

მშობელი/აღმზრდელი/მეურვე, მასწავლებელი, მოსწავლე, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, წარმომადგენელი ბავშვის ზრუნვის სამსახურებიდან (საჭიროების შემთხვევაში), ნებისმიერი სხვა პირი, ვინც ინტენსიურად არის ჩართული ბავშვის აღზრდასა და განათლებაში.

აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ ი.ს.გ. შეხვედრაზე არ არის სასურველი ხუთ მონაწილეზე მეტი ადამიანის დასწრება და ასევე, არ არის სასურველი შეხვედრა 2 საათზე ხანგრძლივი იყოს.

გარდა ამისა, შესაძლებელია ი.ს.გ. შეხვედრას არ დაესწროს ჯგუფის ყველა წევრი. მნიშვნელოვანია, შეხვედრას ესწრებოდნენ მშობლები/მეურვე და ძირითადი მასწავლებლები.

ი.ს.გ. -ს წარმოება ეფექტიანია, თუ ჯგუფი ირჩევს ე.წ. ი.ს.გ-ს მენეჯერს, რომელსაც ევალება კონკრეტული ბავშვის საქმის მართვა. კერძოდ: შეხვედრების ორგანიზება, ჩანაწერების მოწესრიგება, ჯგუფის სხვა წევრების ინფორმირება ცვლილებების თაობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონედ ითვლება მოსწავლე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დასწავლის უნარის დარღვევა, ქცევის პრობლემები, ან სხვა სახის უნარშეზღუდულობა, აღზრდის არახელსაყრელი პირობები. მას სჭირდება დამატებითი შეფასება, პროგრამის ან სასწავლო გარემოს ადაპტირება, სპეციალური აღჭურვილობა/რესურსები ზოგასაგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ჩართვისთვის.

ფედერალური კანონის მიხედვით, რომელიც შემუშავდა ა.შ.შ-ში, განსაკუთრებული საჭიროების მქონედ ითველბიან ბავშვები სამიდან ოცდაორ წლამდე, რომელთაც აღენიშნებათ ორი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემიდან:

- შემეცნებითი სირთულეები;
- სმენის დაქვეითება ან სიყრუე;
- მეტყველების დარღვევა;
- მხედველობის დაქვეითება ან სიბრმავე;
- ემოციური დარღვევა;

- ორთოპედიული დარღვევა;
- აუტიზმი;
- თავისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანება;
- სწავლის სპეციფიკური დარღვევა;
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი;
- ჯანმრთელობის სხვა სერიოზული სირთულეები.

როდესაც სახეზე გვაქვს თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა, (მაგ. ფიზიკური), ამ შემთხვევაში უფრო ადვილად და სწრაფად ხდება გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ ბავშვს სჭირდება გარემოს ან ეროვნული გეგმის ადაპტირება.

როცა არათვალსაჩინო უნარშზღუდულობაა (მაგ: კითხვის უნარის დარღვევა), რომელიც თავს იჩენს და მძიმდება თანდათანობით, როგორც წესი სკოლაში გაზრდილი სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად, გადაწყევტილების მიღება შეიძლება უფრო დაგვიანდეს, ან გართულდეს. საუკეთესო შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ი.ს.გ-ს საჭიროებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხდება:

მშობელი, მასწავლებელი ან სხვა პირი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, აცნობებს სკოლის ადმინისტრაციას, რომ ბავშვი ვერ სწავლობს სკოლაში არსებული ზოგადი პროგრამის მიხედვით, ანუ მასთან დაკავშირებით ვერ სრულდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამ ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაცია იღებს ზომებს, რომელიც ადეკვატურია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის. ეს შეიძლება იყოს დამატებითი გაკვეთილის ჩატარება, სპეციალური საშიანო დავალებები, დასწავლის ინდივიდუალური სტილის განსაზღვრა. თუ ზომები წარმატებულია, ადმინისტრაცია მშობლებთან და კომპეტენტურ სპეციალისტებთან შეთანხმებით წამოჭირის საკითხს, რომ მოსწავლე შეიძლება იყოს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე.

საკითხი ბავშვის განსაკუთრებული საჭიროების შესახებ შეიძლება წამოაყენოს მშობელმაც. ყველა შემთხვევაში აუცილებელია გუნდის შეკრება, რომელზეც განიხილება საკითხი ბავშვის განსაკუთრებული საჭიროების შესახებ. შეხვედრას ესწრებიან: მშობელი,კლასის მასწავლებელი/დამრიგებელი, ფსიქოლოგი, მეტყეველბის თერაპევტი, პედიატრი თუ სხვა, რომლებიც თვლიან, რომ ბავშვს ესაჭიროება ინდივიდუალური სწავლის მეთოდით მიდგომა. დაუშვებელია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ადმინსტრაციის,მშობლის ან მხოლოდ მასწავლებლის მიერ.

გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე განსაკუთრებული საჭიროების მქონეა, უნდა მოხდეს საკითხის დასმიდან ორი კალენდარული თვის განმავლობაში.

ბავშვის შეფასება შეიძლება ჩაატაროს სკოლამ საკუთარი რესურსით. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი მოისურვებს, დასაშვებია შეფასება სკოლის გარეთაც ჩატარდეს.

შეფასებას აკეთებს ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების მასწავლებელი და კლასის/საგნის მასწავლებელი. გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივად დირექტორის, ფსიქოლოგის, კლასის დამრიგებლის, სპეციალური მასწავლებლის, მშობლის/მეურვის და ბავშვის შეხვედრის საფუძველზე.

მოსწავლის ყოველმხვრივი შეფასებისა და ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე იქმნება ბავშვის პროფილი, რომელიც ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ამოსავალს წარმოადგენს. ამ საფეხურზე პირველი და აუცილებელი ნაბიჯია მოსწავლის საჭიროებებში პრიორიტეტების გამოყოფა სფეროების მიხედვით.

ი.ს.გ მოსწავლის სწავლების ძირითადი პრიორიტეტების შეჯამებაა და არა ყველაფრის აღწერა, რასაც ბავშვი სწავლობს.

უპირატესი სფეროების გამოყოფისთვის ი.ს.გ გუნდმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- მოსწავლის ღირებულებები და მიზნები;
- მშობლების შვილთან დაკავშირებული მოლოდინები და მიზნები;
- სოციალური განვითარების მნიშვნელობა;
- საჭიროების განსაკუთრებული მნიშვნელობა;
- ასაკთან შესაბამისობა;
- წვლილი ბავშვის ზოგად სასწავლო მიღწევებში;
- სწავლის დრო და მისაწვდომი რესურსები;

მნიშვნელოვანია, მოსწავლის სპეციფიკური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება მის პროფილს და საჭიროებებს იმ პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, რომელიც ი.ს.გ გუნდმა დააფიქსირა. აუცილებელია გუნდის შეთანხმება მიზნების ისეთ რაოდენობაზე, რომლის მიღწევაც რეალურია სასწავლო წლის განმავლობაში.

მოსწავლის სპეციფიკური მიზნები:

- განისაზღვრება მოსწავლის ფუნქციონირების არსებული დონის საფუძველზე;
- ითვალისწინებს მოსწავლის წინა სასწავლო მიღწევებსა და პროგრესს;
- განსაზღვრავს, თუ რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მოსწავლეს;
- რეალურია სასწავლო დროისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

ეფექტურად შედგენილი სასწავლო მიზნები:

- სპეციფიკურია: ჩამოყალიბებულია ნათლად და მარტივი ენით.
- გაზომვადია: იძლევა მოსწავლის მიღწევების ზუსტი შეფასებისა და მონიტორინგის საშუალებას;
- მიღწევადია: რეალისტურია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- რელევანტურია: შეესატყვისება მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს;
- დროში განსაზღვრულია:მათი მიღწევა შესაძლებელია კონკრეტული დროის პერიოდში, ძირითადად 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

მიზნები უმჯობესია ისე იყოს ჩამოყალიბებული, რომ მათი მიღწევა 6-8 კვირაში გახდეს შესაძლებელი. მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების გამოყოფა.

გრძელვადიანი მიზნები მოსწავლესთან განისაზღვრება როგორც საბოლოო შედეგი. ის უფრო ზოგადია, მაგრამ მკაფიოდ განსაზღვრული. მაგალითად, გრძლევადიან მიზნად შეიძლება შევიტანოთ პროგრამაში:

- კითხვის სწავლება;

- საჭმლის მომზადების სწავლება;
- თანატოლებთან კომუნიკაცია კლასში და ა.შ

მოკლევადიან მიზნებს სასწავლო ამოცანებსაც უწოდებენ. ეს არის სპეციფიკური მიზნები, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ცოდნასა და უნარებს მიმდინარე პერიოდში.

გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრაში მეტად მნიშვნელოვანია მშობლის მონაწილეობა. შესაძლებელია მშობლისა და მასწავლებლის შეხედულებები რადიკალურად განსხვავებულია, ამიტომ აუცილებელია ი.ს.გ. გუნდის შეკრება, მსჯელობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება მშობელთან ერთად.

კვლევა აჭარის ზოგასაგანმანათლებლო სკოლებში

კვლევითი პროცესი, მსოფლიოში შექმნილი ეპიდ ვითარებიდან გამომდინარე მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა. შევადგინე კითხვარები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სადაც სრულად დაცულია ანონიმურობა.

ჩატარდა თვისობრივი კვლევა. სირთულედ უნდა ჩაითვალოს როგორც ზემოთ ვისაუბრეთ ეპიდ ვითარება საქართველოში.სკოლებში შესვლა და ჩაღრმავებული ინტერვიუს შესაძლებლობა არ მომეცა.

კითხვარის შედგენისას ძირითადი მიზანი იყო გაგვეგო აჭარის სკოლებში როგორი დამოკიდებულება აქვთ რესპოდენტებს ინკლუზიური განათლებისადმი, ღებულობენ თუ არა მშობლები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას, რამდენად ხშირი კონტაქტი აქვთ სპეციალურ მასწავლებელს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რამდენად არის დაინტერესებული სკოლის მენეჯმენტი პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და გადამზადებით და რა სახის ცვლილებებს შეიტანდნენ ინკლუზიურ განათლების პროცესში რესპოდენტები?

კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდა საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და მათი მშობლები, რადგან ყველაზე უკეთ ამ საკითხზე უშუალოდ პროცესის მონაწილე, დაინტერესებული პირები ისაუბრებდნენ და ნათელ სურათს დავინახავდით არსებული რეალობის შესახებ, რაც დაგვეხმარებოდა შემდგომში რეკომენდაციების შემუშავებაში.

წარმოგიდგენთ კვლევის შედეგების თვისებრივ ანალიზს, რომელიც მხოლოდ პრობლემების ირგვლივ არსებული გარემოებების სიღრმისეულ წვდომასა და მისი გადაჭრის გზის დასახვისთვის რეკომენდაციების შემუშავებას ემსახურება.

ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო, მონაწილეობდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ამ კითხვაზე პასუხები განსხვავებული იყო. მშობლების დაახლოებით 50% ამბობდა, რომ ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, ხოლო საპირისპიროს ამტკიცებდნენ მასწავლებლები, ისინი აცხადებენ, რომ ძირითადად ი.ს.გ-ს განიხილავენ საგნის მასწავლებლებთან ერთად, ვინაიდან ნაკლები ინტერესი მოდის მშობლების მხრიდან.

კითხვაზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა კომუნიკაციის ფორმას, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის მთალდ სახარბიელო სიტუაცია. მშობლების 50% აფიქსირებს, რომ პედაგოგს არ აქვს განსაზღვრული კონკრეტული დღე შეხვედრისთვის, ხოლო სპეციალური მასწავლებლები სასურველ ფორმას, ტელეფონით კომუნიკაციას ამჯობინებენ.

კითვაზე, რამდენად არის დაინტერესებული სკოლის მენეჯმენტი პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და გადამზადებით? მასწავლებლები თითქმის ერთხმად აცხადებენ,რომ სკოლა აქტიურად არის ჩართული მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებით.

„დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე სკოლის მენეჯმენტი დაინტერესებულია პედაგოგთა პროფ. განვითარებითა და გადამზადებით სსსმ მოზარდებისთვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად“.

„დაინტერესებულები ვართ,მივიღოთ მეტი ინფორმაცია სსსმ მიმართ რათა დავძლიოთ სირთულეები და დავეხმაროთ მოსწავლეებს აღზრდა განათლებაში მისი მდგომარეობიდან გამომდინარე".

მნიშვნელოვანია, რესპოდენტების დამოკიდებულება და პოზიცია საგაკვეთილო პროცესში საჭირო დამატებითი რესურსების (კოპიუტერი, თვალსაჩინო სურათები, რესურს ოთახი) ქონასთან დაკავშირებით. მშობლების უმრავლესობა (80%) მიიჩნევს, რომ ზოგადსაგანმნათლებლო სკოლები ნაწილობრივ აღჭურვილია. სპეციალური მასწავლებლები კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში დამატებითი რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განვითარებისათვის და მასალის უკეთ აღქმაში.

„თანამედროვე სწავლების მეთოდი გულისხმობს ნებისმიერი შესაძლებლობის მოსწავლის დაინტერესებას, ჩართვას საგაკვეთილო პროცესში. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დამატებით რესურსების გამოყენებას. ასეთი გაკვეთილი საინტერესო და ადვილად აღსაქმელია ყველა მოსწავლისათვის“

„სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს აუცილებელია სხვადასხვა მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება, რაც ხელს უწყობს საკითხის უკეთ გაგებას და მოსწავლეც ხალისითა და თამაში ასრულებს დავალებებს. რესურს ოთახი კი ის ადგილია სადაც ხდება ნასწავლია განმტკიცება, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა თვალსაჩინო რესურსებით".

საინტერესოა, როგრია მშობლების დამოკიდებულება ზოგადათ ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით და რა სახის ცვილებებს შეიტანდნენ სასწავლო პროცესში?

სამწუხაროდ, კვლევამ აჩვენა რომ მშობელთა უმეტესობა ცალსახად აღიარებს სწავლებისადმი უკმაყოფილებას და ისურვებდნენ პედაგოგების უფრო მეტ კომპეტენციას, მშობლების ცნობადობის ამაღლებას და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მეტად ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

„ცალკეულ მაგალითებს თუ არ ჩავთვლით, ხარისხი საკმაოდ დაბალია ამ ეტაპზე, თუმცა პროგრესი წინა წლებთან შედარებით აშკარაა. ვფიქრობ, საჭიროა მეტი ჩართულობა მშობლის მხრიდან, რაც შეიძლება მივიღოთ თუ გავზრდით ინფორმირებულობის დონეს ე.ი. რა შეუძლია მოითხოვოს მშობელმა თავისი შვილისთვის, რა ევალება თვითონ მას სასწავლო პროცესში ჩართულობის კუთხით და ა.შ.“

„ეს ძალიან სერიოზული თემაა.სამწუხაროდ, არც სკოლა და არც პედაგოგები არ არიან ინფორმირებულები იმ სსსმ ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ,რომელიც მათ

სკოლაში აპირებს სწავლას.ხშირ შემთხვევაში, მოსწავლის დახასიათება და შეფასებაც არა აქვთ წაკითხული. კანონით მიღებულ არანაირ ცვლილებას არა აქვს აზრი,თუ არ მოხდება სპეც.პედაგოგების გადამზადება".

„პირველ რიგში მშობელთა ცნობადობა უნდა ამაღლდეს , მათ უნდა გაითავისონ თავიანთი შვილების მდგომარეობა (ბევრი მშობელი არ აღიარებს) , რათა, შემდეგში გაუადვილდეთ შვილებთან ურთიერთობა და ამით შეძლებენ დაეხმარონ საზოგადოებაში ადაპტაციაში. რაც შეეხება, ჩემს მდგომარეობას , ვეთანხმები იმას , რომ აქტიურად უნდა იყოს ჩართული ინკლუზიური განათლების მქონე ბავშვი / მოსწავლე როგორც საგანმანათლებლო , ასევე სპორტულ- გამაჯანსაღებელ აქტივობებში".

დასკვნები

სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავდა სწავლების უნარისა და გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიების განსაზღვრას და კვლევას აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რამდენად პოზიტიურ გარემოში ხდება ინკლუზიური სწავლება და სპეციალური მასწავლებლისა და სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქმონე მოსწავლეთა მშობლების ურთიერთთანამშრომლობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის ჩართულობას ინკლუზიურ განათლებაში. ამ მიმართებით გასაზიარებელია ნორვეგიის მრავალწლიანი გამოცდილება ინკლუზიური განათლების დარგში. ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით მშობლებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა შვილების აღზრდა-განათლებაში.1969 წლიდან კანონი მოითხოვს, რომ სკოლას ყავდეს მშობელთა საბჭო და ყველა მშობელი ვალდებულია იყოს ამ საბჭოს წევრი. (Foreldreadest arbeidsutvalg-FAU). ეს საბჭო ვალდებულია, რომ ხელი შეუწყოს მშობელთა საერთო ინტერესების გაცხადებას და განხორციელებას და ასევე მშობლებისა და მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. მშობელთა კომიტეტი არის საკონსულტაციო და საკოორდინაციო ორგანო სკოლაში. საქართველოს საჯარო სკოლებში არის სამეურვეო საბჭო , მაგრამ ის ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ რამდენიმე მშობელია გაწევრიანებული, შესაბამისად ის ვერ უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობის გაზრდას სასკოლო ცხოვრებაში.

კვლევების შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობლების უმრავლესობა, მონაწილეობას არ იღებს და ნაკლებად არის ჩართული შვილების საგანმანათლებლო პროცესში, ეს აისახა კვლევაშიც, როცა მასწავლებლების უმრავლესობამ დააფიქსირა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მშობლების პასიურობა.

მშობლების 50% ასახელებს, რომ სპეციალური მასწავლებელი მხოლოდ სატელეფონო საშუალებით ეკონტაქტება და არ არის განსაზღვრული დრო შეხვედრისთვის. მიზეზად დასახელებული იყო, მშობლების მხრიდან მოუცლელობა, ამიტომაც უფრო კომფორტულ ფორმას - დისტანციურ ურთიერთობას მიეცა უპირატესობა.

სამაგისტრო თემის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ, გვიჩვენა რომ პედაგოგები გამოთქვამენ კმაყოფილებას სკოლის მენეჯმენტის მრიდან. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიულ განვითარებაში. ასევე გეგმაზომიერი მუშაობა ტარდება სპეციალური მასწავლებლების ინტენსიური დატრენინგებისათვის.

სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლები და სპეც მასწავლებლები, ასევე ერთხმად ამახვილებენ ყურადღებას საგაკვეთილო პროცესში დამატებითი რესურსების მნიშვნელობაზე. ისინი თვლიან, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეების განვითარებისთვის შესაბამისი ინვენტარი და მრავალფეროვანი თვალსაჩინო-დიდაქტიკური

მასალა, რადგან გაკვეთილი იქნება მრავალ ფუნქციური, სახალისო, შინაარსიანი, მარტივად აღსაქმელი და ყველასათვის გასაგები.

კვლევამ ასევე გამოკვეთა,მშობელთა ერთი ნაწილის უკმაყოფილო დამოკიდებულება ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით. ისინი მოითხოვენ, პედაგოგების მეტად კომპეტენტურობას, ლოიალურ დამოკიდებულებას მოსწავლეებისადმი და უფრო მეტ მოტივაციას.

სამწუხაროდ, კვლევაში ნაკლებად იყო აქტივობა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მხრიდან. თუმცა მათი პასუხები ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სურვილი აქვთ მეტად პოზიტიურ გარემოში ხდებოდეს სწავლება, ნაკლები იყოს ბულინგის შემთხვევები და სკოლაში გახდეს ბევრად პრიორიტეტული ინკლუზიური განათლება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სპეციალურ მასწავლებელსა და მშობელს შორის ორმხრივი, რეგულარული კომუნიკაცია ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა, რომ მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას და თანაბრად აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

რეკომენდაციები

- ✓ პირველ რიგში აუცილებელია მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია, სწორი ფორმით შეხვედრა და პოზიტიური დამოკიდებულება. სპეციალურ მასწავლებელს და მშობელს შორის პირველი შეხვედრა უნდა იყოს მარტივი და პირდაპირი. გულთბილი დამოკიდებულება და პოზიტიური გარემო ეხმარება მშობლებს, გაუჩნდეთ მეტი ნდობა და დადებითი დამოკიდებულება სკოლის ადმინისტრაციის და სპეციალური მასწავლებლის მიმართ.
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მშობელს მუდმივად ჰქონდეს წვდომა სასწავლო პროცესზე და აქტიურად ჩაერთოს შვილის საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ასევე პედაგოგმა ხელი უნდა შეუწყოს მშობლების წახალისება, გაუგზავნოს მადლობის წერილები ან ხაზი გაუსვან მათ დამსახურებას
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა თხოვოს მშობელს, რომ გაუზიაროს მისი პრობლემები და აზრები სკოლასთან დაკავშირებით, რადგან ერთობლივად გადაჭრან პრობლემის აღმოფხვრის გზები .
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა უნდა გამოყოს ერთი კონკრეტული დღე მშობლებთან შეხვედრისთვის, რომლის განმავლობაში ყველა მშობელს მიეცემა შესაძლებლობა დღის ნებისმიერ მონაკვეთში მივიდეს სკოლაში, გაესაუბროს კლასის დამრიგებელ, სპეც მასწავლებელს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია მიმდინარე სასწავლო შედეგებზე.
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა ხშირად უნდა მოიწვიოს მშობელთა კრება, სადაც ჩართულნი იქნებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები. მსგავსი შეხვედრებით პედაგოგმა უნდა აუმაღლოს საზოგადოებას ცნობადობა ინკლუზიური სწავლების დადებით მნიშვნელობაზე.
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა მშობელს უნდა მიაწოდოს მრავალფეროვანი ინფორმაციული სახის მასალა, რომელიც დაკავშირებული იქნება ბავშვის განვითარებასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან. მნიშვნელოვანია, მშობლები ფლობდნენ ინფორმაციას სპეციალური განათლების, სოციალური მომსახურების სააგენტოს შესახებ. შესაძლებელია, სკოლამ მშობელს სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები წერილობითი ფორმით, ვიდეო-აუდიო მასალა, შესაბამისი ვებ გვერდის მისამართები და ა.შ.
- ✓ სკოლის მენეჯმენტმა მშობლებს უნდა შესთავაზოს ტრენინგები მათთვის საინტერესო თემებზე. ჩაატარონ სემინარები და დისკუსიები ფსიქოლოგთან ერთად. გააცნონ მშობლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების სტრატეგიები.
- ✓ სპეციალურმა მასწავლებელმა სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ხშირად დაგეგმოს წამახალისებელი ღონისძიებები, ექსკურსიები, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების იქნებიან ინიციატორები. მსგავსი აქტივობები

დაეხმარება სკოლას უფრო მეტად გახდნენ მიმღებლები და გაითავისონ ინკლუზიური განათლების არსი.

- ✓ მასწავლებლებმა უნდა აწარმოონ ანგარიშები მოსწავლეთა შესახებ, გააცნონ ისინი მშობლებს ინდივიდუალურად. აღნიშნონ ხშირად, რას აკეთებს მოსწავლე კარგად, რა არის მისი ძლერი მხარე და რაში ჭირდება მას დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ბაგრატიონი მ, ლაღიძე ა, პაჭკორია თ;-„ინკლუზიური განათლება“ (გზამკვლევი მასწავლებლებისთვის)
2) ბაგრატიონი მ, ლაღიძე ა, პაჭკორია თ; - „სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება“
3) ბაგრატიონი მ, ზაქარეიშვილი მ, კვაჭაძე ჟ - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (გზამკვლევი მასწავლებლებისთვის)“ (თბილისი 2014 წელი)
4) გაგოშიძე თ.- „ბავშვის ფსიქიკური დარღვევები“ (თბილისი 2007 წელი)
5) გაგოშიძე თ, ბაგრატიონი მ, ფილაური ქ -„ინკლუზიური განათლების პრინციპები“ (თბილისი 2011 წელი)
6) მარაზანო რ - „კლასის მართვა“(კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისთვის)
7) მეზვრიშვილი თ, ცირამუა მ -„ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოზარდები“(თბილისი 2014 წელი)
8) მერი ლინჩ ბარბერა - „როგორ ვასწავლოთ აუტიზმის და მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებს“ (2021 წელი)
9) „ინკლუზიური განათლება, ცნებები და ტერმინები „(2011 წელი)
10) „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა“ (2009 წელი)
11) „ინკლუზიური განათლების წარმატებული შემთხვევები“ (2012 წელი).
12) „სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით“, მასწავლებლის წიგნი (2014 წელი).
13) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0
14) https://en.unesco.org/themes/education/
15) https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/04/ganathlebis-
16) http://inclusion.ge/geo/static/7